წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

კვირა, 8 მაისი, 1921 წ.

№ 54 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 54

ამხ. ვ. ლენინის წერილი

აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტანის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებისადმი.

ვესალმები რა მხურვალეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, მე ნებას მივცემ თავს გამოვსთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის სამაგალითო ეროვნულ მშვიდობიანობას, არ ნახულს ბურჟუაზიის ბატონობის ხანაში, შეუძლებელს ბურჟუაზიულ წესწყობილების ნიადაგზე.

მაგრამ რა რიგ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს დამყარება ეროვნული მშვიდობიანობისა კავკასიის ერთა მუშებსა და გლეხებს შორის, შეუდარებლათ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ და განვავითაროთ საბჭოთა ძალა უფლება, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი წყობილება. ამოცანა ძნელია, მარა სრულიად შესაძლებელი. მის წარმატებით გადასაჭრელათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამიერ კავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ განსაკუთრებული პირობები მათი მდგომარეობის, მათი რესპუბლიკების მდგომარეობის, რომელიც განსხვავდება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან, რომ შეიგნონ საჭიროება ჩვენი ტაქტიკის არა უკლებლივ შეუსწორებლათ გადაღების, არამედ ჩაფიქრებით შეუფარდონ ის ადგილობრივ კონკრეტიულ პირობების სხვაობას.

რუსეთში საბჭოთა რესპუბლიკას არ საიდან არ ჰქონია პოლიტიკური და სამხედრო დახმარება. პირიქით მთელი წლების განმავლობაში იბრძოდა ანტანტის სამხედრო თავდასხმისა და ბლოკადის წინააღმდეგ.

კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა მიიღეს რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკისაგან პოლიტიკური და რამოდენიმეთ სამხედრო დახმარებაც. ამაშია ძირითადი განსხვავება.

მეორე: დღეს არ არის საშიში, რომ ანტანტა გამოილაშქრებს, ანდა სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს ქართველ, აზერბეიჯანელ, სომეხ, დაღესტანელ და მთიელების თეთრგვარდიელებს. ანტანტამ ფეხი მოიტეხა რუსეთის საქმეებში, და ეს გარემოება ალბათ იძულებულ გახდის მას რამოდენიმე ხანს მაინც მორიდებით იყვეს.

მესამე: კავკასიის რესპუბლიკები კიდევ უფრო გლეხური ქვეყნებია, ვინემ რუსეთი.

მეოთხე: ეკონომიურათ რუსეთი იყო და რჩება დღესაც საგრძნობლათ მოწყვეტილი მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან. კავკასიას შეუძლია მოაგვაროს „კეთილგანწყობილება“ და საქონლის გაცვლა გამოცვლის საქმე კაპიტალისტურ დასავლეთთან უფრო ჩქარა და ადვილათ.

განსხვავება ამით არ ამოიწურება. მარა ჩამოთვლილიც საკმაოა, რომ შევიგნოთ სხვაგვარი ტაქტიკის აუცილებლობა. მეტი სირბილე, სიფრთხილე, დათმობა წვრილ ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ. უნდა გამოიყენოთ ეკონომიურათ ყოველმხრივ, ძალუმათ, საჩქაროთ კაპიტალისტური დასავლეთი კონცესიისა და მასთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეში. ნავთი, შავი ქვა, ნახშირი, ტყვარჩელის მაღაროები, სპილენძი—ასეთია ბევრათ არა სრული ნუსხა უამრავ სამთო სიმდიდრისა. სრულიად შესაძლებელია ფართოთ იქნეს წარმოებული პოლიტიკა კონცესიებისა და საქონლის გაცვლა გამოცვლისა საზღვარ-გარეთთან.

საჭიროა ყველივე ეს გაკეთდეს ფართო მასშტაბით, მტკიცეთ, საქმის ცოდნით, ფრთხილათ და ეს გამოყენებული იქნეს მუშათა და გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და ინტელიგენციის ჩასარევათ სამეურნეო აღმშენებლობაში. ყოველი საშვალებით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, „თეთრი ნახშირი“, მორწყვა, რისთვისაც უნდა იქნას გამოყენებული იტალიასთან, ამერიკასთან და სხვა ქვეყნებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლა. მორწყვის საქმეს განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს, რომ, რაც არ უნდა დაჯდეს, აღორძინდეს მიწათმოქმედება და საქონლის მოშენება.

უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატიური გადასვლა სოციალიზმზე—აი რა არის შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რუსეთის სოციალისტ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკასთან განსხვავებით. აი რა უნდა შევიგნოთ და რისი განხორციელება უნდა მოვახერხოთ ჩვენს ტაქტიკასთან განსხვავებით.

ჩვენ შევანგრიეთ პირველათ მსოფლიო კაპიტალიზმის შენობა, მისი კედლები შენგრეულია, ჩვენ მოვახერხეთ თავი გადაგვერჩინა გააფთრებულ, არა ბუნებრივ, ძნელ და მძიმე, მწვავეთ მტანჯავ ომში თეთრების, ესერების, მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებსაც დახმარებას უწევდა მთელი ანტანტა ბლოკადით და სამხედრო საშუალებებით.

თქვენ, კავკასიის ამხანაგო კომუნისტებო, აღარ გჭირდებათ შეანგრიოთ კაპიტალიზმის კედელი. უნდა მოახერხოთ მეტი სიფრთხილით და თანდათანობით შექმნათ ახალი ცხოვრება, გამოიყენოთ რა ამისათვის 1921 წლის თქენთვის ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება. ევროპა და მთელი ქვეყნიერებაც 1921 წელში უკვე აღარ არის ის, რაც იყო 1917 და 1918 წლებში.

ჩვენი ტაქტიკის არა უკლებლივ გადმოღება, არამედ მისი თავისებურობის მიზეზების, პირობების და შედეგების დამოუკიდებლათ გაგება, თქვენს პირობებში გამოყენება 1917—1921 წლების გამოცდილების არა ფორმალური მხარის, არამედ მისი სულის, აზრის და იქიდან მიღებული გაკვეთილების. ერთბაშათ დაეყრდნეთ ეკონომიურათ კაპიტალისტურ საზღვარ-გარეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლას, ნუ იძუნწებთ: დეე ერგოს მას ათეულ მილიონობით ძვირფასი სამთო პროდუქტები.

ეხლავე შეეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხების მდგომარეობა და დაიწყეთ ფართო მუშაობა ელექტროფიკაციის და მორწყვისთვის. მორწყვა ყველაზე უფრო საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს და განამტკიცებს პირობებს სოციალიზმზე გადასვლისას.

ბოდიშს ვიხდი, რომ ეს წერილი არ არის სათანადოთ დამუშავებული, რადგან იძულებული ვიყავი სახელდახელოთ დამეწერა ის, რომ მომესწრო ამხ. მიასნიკოვის ხელით მისი გამოგზავნა. ერთხელ კიდევ უგზავნი კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მუშებს და გლეხებს სალამს და კეთილ სურვილებს.

ვ. ლენინი.

მოსკოვი, 1921 წ. აპრ. 14.

ჩვენი სამოქმედო ხაზის შესახებ

ჩვენ მოგვყავს ზემოთ ამხ. ლენინის წერილი, რომლითაც ის მოგვმართავს კავკასიაში მომუშავე კომუნისტებს. თავის შინაარსით და დანიშნულებით ის დაწერილია იგივე მიზნით და შეეხება იმავე საჭირბოროტო საკითხებს ჩვენი ყოველდღიური მუშაობისას, რა მიზანსაც ისახავდა და რომელ კითხვებსაც ეხებოდა მისვე მიერ მარტის დასაწყისში ამხ სტალინის საშვალებით გადმოცემული რჩევა ჩვენი სამოქმედო ხაზის შესახებ საქართველოში.

როგორი უნდა იყოს დღეს ეს სამოქმედო ხაზი — საზოგადოთ და რუსეთთან გარჩევით—კერძოთ? ამ კითხვების გამორკვევა შესაძლებელია მხოლოდ თუ მივიღებთ მხედველობაში დღევანდელ საფეხურს საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის განვითარებისას—ერთი მხრით და კავკასიის, კერძოთ, ჩვენი ქვეყნის, და რუსეთის ცხოვრების სოციალ-პოლიტიკურ პირობებს—მეორე მხრით.

უმთავრესი და გადამწყვეტი როგორც ჩვენი, ისე რუსეთის ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, სოციალიზმზე გარდამავალ ხანაში მათი აღმშენებლობითი მუშაობისთვის, არის ის ყველა ჩვენთვის საერთო მომენტი, რომ ჩვენი მოლოდინი დახმარების შესახებ, რომლითაც უზრუნველყოფილი ვიქნებოდით იმ შემთხვევაში, თუ რომ ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებში პროლეტარიატი ხელში ჩაიგდებდა სახელმწიფო ძალა-უფლებას,—რომ ეს მოლოდინი სოციალისტური რევოლიუციის შესახებ ამ სიტყვის პირდაპირი აზრით არ ხორციელდება ჯერ ისეთი ტემპით, ისეთი სისწრაფით, როგორც ეს სასურველია. ჩვენ თავიდანვე იმ აზრის ვიყავით, რომ, როგორიც სიძლიერეც არ უნდა გამოიჩინოს რუსეთის პროლეტარიატმა, როგორიც არ უნდა იყოს მისი რესურსები,—შეუძლებელია, რომ მარტო მან ზიდოს თავის მძლავრ მხრებზე ტვირთი მსოფლიო კაპიტალის დაცემისა და განადგურების. ეს აზრი ხაზგასმით თქმულა და საჭიროა მისი განმეორება ხანდახან, განსაკუთრებით იმ წრეების გასაგონათ ჩვენ რიგებში თუ ამ რიგებს გარეშე, რომლებსაც სჩემდებათ „მემარცხენეობის“ საყმაწვილო ავათმყოფობა, თვით ამხ. ლენინის სიტყვები რომ ვიხმაროთ. ამნაირათ ჩვენ დაყენებული ვართ დღეს დღეობით იმ ფაქტის წინაშე, რომ, თუმცა გაზრდილი ამდენხანს მისთვის უჩვეულო სიღრმით და სიფართოვით, რევოლიუციონური მოძრაობა მსოფლიოში არ არის გადასული ჯერ კიდევ უშუალო ფიზიკურ შეტაკებაზე ორ მებრძოლ მხარეთა შორის, რომ სამოქალაქო ომს არ მიუღწევია ჯერ კიდევ იმ დონემდე, როდესაც სახელმწიფო ძალა-უფლება აღდგარი პროლეტარიატის ხელში გადადის. ფაქტია ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოებს აღმოსავლეთ ევროპისას უხდებათ ბრძოლა და ცხოვრება იმპერიალისტურ სახელმწიფოების გვერდით, რამოდენიმეთ ირგვლივ შემორტყმულებს მათ მიერ, თუმცა ეს უკანასკნელები პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობით საკმაო ილაჯ გაწყვეტილები არიან, რომ სისრულეში მოიყვანონ თავის შავი ზრახვები მუშურ-გლეხურ სახელმწიფოების წინააღმდეგ. ფაქტი ასეთი „მეზობლობის“ საჭიროთ ხდის საბჭოთა სახელმწიფოებისთვის ერთნაირ, თუ გინდ დროებით, თუგინდ მალე წარმავალ, ურთიერთობის დამყარებას ამ გვარ კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ეს გარემოება საერთოა როგორც კავკასიის საბჭოთა სახელმწიფოებისთვის, ისე რუსეთის საბჭოთა ფედერაციისათვის და ერთნაირ ზღვარს უდებს გასაქანს იმ სოციალური გარდაქმნისას, რომელიც შეადგენს შინაარს გარდამავალი ხანის ეკონომიკისა და პოლიტიკისას. ეს დამახასიათებელი თვისება ჩვენი მდგომარეობის, რომელიც, ვიმეორებთ, ჩვენ საერთო გვაქვს დიდ საბჭოთა ფედერაციასთან, მისაღებია მხედველობაში და უაღრესათ ანგარიშ გასაწევი ჩვენ ყოველდღიურ მუშაობის დროს და ამ მუშაობის საერთო ხაზის გამოსანახავათ. სწორეთ ეს მომენტია უმთავრესი ჩვენს მოქმედებაში სხვა ფაქტორებს შორის. აღმოსავლეთისა და კერძოთ ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობის პირობებში, როგორი სოციალური მასალაც არ უნდა ვიპოვოთ იქ კომუნისტური აღმშენებლობისათვის — ეჭვს გარეშეა, რომ ეს აღმშენებლობა სულ სხვა ტემპით, სხვა სიღრმით და სიფართოვით წავა ამ ჩამორჩენილ ქვეყნებში მაშინ, როდესაც ის წარმოებს ევროპის დაწინაურებულ სახელმწიფოებში პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლით შექმნილ სოციალ-პოლიტიკურ პირობებში.

ასეთი საერთო მდგომარეობით ევროპის მასშტაბში, განისაზღვრება ხასიათი ჩვენი დამოკიდებულების გარეშე იმპერიალისტურ ქვეყნებთან. აქედან—პოლიტიკა კონცესიების, სავაჭრო ხელშეკრულებათა დადების, რომელზედაც მიგვითითებს ამხ. ლენინი თავის წერილში.

ჩვენი შინაური პოლიტიკის გარკვევის დროს ამხ. ლენინი გამოდის იმ დებულებიდან, რომ კავკასიის რესპუბლიკები უფრო გლეხური ქვეყნებია ვინემ რუსეთი, და რომ მისი მეურნეობა უფრო ჩამორჩენილია რუსეთისაზე. ის ჩვენ გვირჩევს მეტ სიფრთხილეს და დათმობის გზაზე დადგომას წვრილ ბურჟუაზიის ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ. „უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატიური გადასვლა სოციალიზმზე“—აი რას ურჩევს ის კავკასიის რესპუბლიკებს რუსეთის სოციალისტურ ფედერაციასთან განსხვავებით.

ასეთი რჩევა სრულიად საბუთიანია იმ ჩამორჩენილი სასოფლო მეურნეობის და საზოგადოებრივ კლასთა შემადგენლობის პირობებში, რომლებშიაც ჩვენ გვიხდება მუშაობა დღიდან საქართველოში საბჭოთა ძალა უფლების გამოცხადებისა. სიფრთხილე ნაციონალიზაციის ზომების გატარებაში იქ, სადაც ტექნიკური პერსონალი წარმოების და ამ წარმოების ადგილი მთელი მეურნეობის სისტემაში არ იძლევა საკმაო გარანტიას, რომ ნაციონალიზაციის გზით მისი ნაყოფიერება წინ წაიწევს და რაიმე თვალსაჩინო ღირებულებას შეჰმატებს სახელმწიფოს. თავისუფლება წვრილი ვაჭრობის, რადგან მისი საშუალებით სწარმოებს უმეტეს ნაწილათ დღეს საქონლის ტრიალი, და წინააღმდეგი ზომა კი გარდა იმისა, რომ, სათანადო აპარატის უქონლობის გამო, ცხოვრებაში ვერ გატარდებოდა და მხოლოთ დამრღვევ-დამშლელ ფაქტორათ შეიჭრებოდა საერთო ცხოვრებაში, გამოიწვევდა ბუნებრივ უკმაყოფილებას საზოგადოების საკმაო დიდ ნაწილში და მიიღებდა არასასურველ მიმართულებას, გამოსადეგს მხოლოთ რევოლიუციონური მთავრობის მტრებისთვის. დათმობა გარდა ამისა ინტელიგენციისათვის, რომელიც აქტიურ საბოტაჟს მაინც არ უწევს ახალი მთავრობისა და შემოღებული წესების წინააღმდეგ, და რომლის ეკონომიური აღმშენებლობის საქმეში ჩარევას გვირჩევს ამხ. ლენინი.

ყოველი ამის წინააღმდეგი ზომების გამოცდილება გაიარეს ჩვენმა ამხანაგებმა რუსეთში და ჩვენ წინ გვიდევს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები მათი მოღვაწეობის. სწორეთ ამ მდიდარ პრაქტიკას უწევდა და უწევს ანგარიშს ჩვენი მთავრობა და იჩენს იმ სიფრთხილეს, რომელსაც უკარნახებს მას ჩვენი ქვეყნის რთული მდგომარეობა. დაშორებული როგორც უპრინციპო „შეგუების“ სურვილს, რომლის გამოსავალი მიზეზები იმალება ყოველდღიურ პატარა საქმეების პრაქტიკაში და მოკლებულია ფართე რევოლიუციონურ პერსპექტივებს, ისე „მემარცხენეობის“ „საქმიანობას“, რომლის სიმძიმის ცენტრი იმალება „რევოლიუციონურ“ ფრაზეოლოგიაში, ჩვენი პარტია მოახერხებს საერთაშორისო მასშტაბში შექმნილ და ჩვენქვეყანაში არსებულ პირობების მიხედვით სათანადო სისწორით წარმართოს თავის მოქმედების გზა იმ დრომდე, როდესაც შეცვლილი საერთაშორისო მდგომარეობა საშუალებას მისცემს მას პრინციპიალურათ ძველებურათ, მარა სხვა ტემპით აწარმოოს გარდამავალი ხანის მუშაობა კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე.

საბჭოთა საქართველო

საქონლის გაცვლა ევროპასთან.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ინფორმბიურო გვაცნობებს: ბათომში მოვიდა იტალიელი გემი „ჩიტადი პალერმო“, რკინის გზის მასალით, ელექტრონის მოწყობილებით და მანქანებით. მოვიდა აგრეთვე ინგლისური გემი „ლოტარ-ბოოკი“, რომელმაც მოიტანა 550 ტონნი ტვირთი, 440 ვაგონების ნაწილები, 247 სოფლის მეურნეობის იარაღი, 150 ტონნი მანუფაქტურა 24 ტონნი მედიკამენტები, 2 ტონნი ასანთი, 5 ავტომობილი, ტყავეულობა, შინები და კიდევ სხვა საქონელი.

სოფელი დიღომი.

აპრილის გასულს დიღომის საზოგადოებაში გამართეს მრავალ რიცხოვანი კრება, რომელზედაც მოისმინეს მოხსენებანი მიმდინარე და საჭირ-ბოროტო საკითხებზე. დასრულების შემდეგ, კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ კომუნისტური პარტია და მისგან შედგენილი მთავრობა არიან ერთად-ერთი დამცველი მშრომელი ხალხისა და მის დამხსნელი ბურჟუაზიის ბრჭყალებისაგან. თავის რეზოლიუციაში კრება ფიცსა სდებს, რომ იგი ხელი-ხელ ჩაკიდებული მთავრობასთან იბრძოლებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

პირველი მაისობა პროვინციაში.

დუშეთი, 5 მაისი. (ფოსტით). პირველ მაისის დღესასწაულმა დუშეთში ბრწყინვალეთ ჩაიარა. დილის 10 საათზე დუშეთის ფოსტის სადგურთან ეწყო მოსვლა გლეხობამ; მწყობრი რიგებით მოდიოდნენ სხვადასხვა დაწესებულებათა მოსამსახურენი და დუშეთის ახალგაზრდათა კომუნისტები. გუნდები მოდიოდნენ სიმღერით. სადგურთან მათ გაუმართეს შესახვედრი მიტინგი, რომლის შემდეგ ისინი ქალაქისაკენ გაემართნენ. ხიდზე მათ შეხვდათ წითელი ლაშქარი, რომელიც უცდიდა ინტერნაციონალის და სხვა რევოლიუციონურ სიმღერებით. დაიწყო მიტინგი. ამხ. მისკონი დუშეთის პროლეტარიატის სახელით მიესალმა წითელ ლაშქარს, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდს, რომელმაც გაანთავისუფლა კავკასიის ერები მენშევიკების, მუსავატების და დაშნაკელების უღლისაგან. წითელ ლაშქრის რაზმიდან მისალმებით უპასუხა სამხედრო კომისარმა ამხ. ნატალინმა. გამოვიდა აგრეთვე ორატორი გლეხებიდან, რომლებმაც უბრალო გასაგებ ენით დაასურათეს მენშევიკების ხელისუფლების ისტორია. მიტინგის შემდეგ პროცესია გაემართა ძმათა სასაფლაოზე. მანიფესტანტები მიდიოდნენ თავდადუნულები, იმ საშინელი დღეების მოგონებით, როდესაც მათი ამხანაგები და ძმები 1918 წ. აჯანყების დროს შეიქმნენ მენშევიკების თვითნებობის მსხვერპლი. საფლავზე წარმოითქვა სიტყვები. ხალხიდან ისმოდა გამოძახილები. წყნარად წამოიწია დროშებმა და „თქვენ მსხვერპლი გახდით საბედისწერო ბრძოლის“ სიმღერით დაღუნეს თავები.

საღამოთი გაიმართა წარმოდგენა, რომელსაც დაესწრო 600 კაცზე მეტი.

საერთოთ პირველი მაისის დღესასწაულმა დიდის ენტუზიაზმით ჩაიარა.

მოსამზადებელ მუშაობას გამოხმაურა მთელი მოსახლეობა; ერთი კვირის ადრე სოფლებში უკვე ამზადებდნენ პლაკატებსა და დროშებს.

აქ-ტაგლიაში.

3 მაისი. პირველ მაისის აქ-ტაგლის სათემო რევკომმა მოიწვია მიტინგი, რომელსაც დაესწრო სოფ. აქ-ტაგლიას, გორა-ტაგლიას და გორა-ჯალალის 200 მდე მცხოვრები. ამხ. მამი ჯაფარლის პირველ მაისის შესახებ მოხსენების გაკეთების შემდეგ, გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ გლეხები, ღრმა მადლობას უცხადებთ საბჭოთა ხელის უფლებას და პატიოსან სიტყვას ვიძლევით, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვეცდებით საბჭოთა საქართველოს და მთელ მსოფლიო საბჭოთა ხელის უფლების გამარჯვებისათვის. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მშრომელთა ხელის უფლება და მათი ბელადები დაგვეხმარებიან სოფლის გაჯანსაღებაში, როგორც ეკონომიურათ, ისე სულიერათ სკოლების წიგნთ-საცავების და სამკითხველოების და სხვათა დაარსებით. გვწამს, რომ საბჭოთა რესპუბლიკის შექმნით კავკასიაში მოისპობა ყოველ გვარი ეროვნული შული და ვცხოვრებთ ერთმანეთში ძმურათ. გაუმარჯოს მთელ საბჭოთა ხელის უფლებას და მათ ბელადებს.

გაუმარჯოს კავკასიის ხალხთა ძმობას.

საბჭოთა რუსეთში

საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვება.

მოსკოვი. 4 მაისი. (რადიო). რეველში მივიდა იმდენი აურაცხელი საქონელი საბჭოთა რუსეთისათვის, რომ აქედან ყოველ დღე იგზავნება 200 ვაგონზედ მეტი, საქონლის მოძრაობა რიგაზედ გაცილებით ნაკლებია. რუსეთი, როგორც საქონლის გამზადებული ბაზარი და როგორც ნედლი მასალის მიმწოდებელი, აუცილებლათ საჭიროა ლატვიის არსებობისათვის, რადგანაც ამ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა, უსისტემო მეურნეობის წყალობით, თანდათან უარესდება ამ უკანასკნელ დროს დაბადებულ უთანხმოების გამო ლატვიისა და [illegible] შორის, ეს უკანასკნელი იძულებული გახდა შეემცირებინა თავის ტრანზიტი ლატვიაზედ და შეეცვალა მთელი წყება გემების მიმართულება რეველისაკენ.

შრომის გმირებს.

პეტერბურგი. 1 მაისი (დეპეშით). პეტერბურგის საბჭომ გადასწყვიტა შრომის გმირები დააჯილდოვონ ვერცხლის საათებით და გადაწყვეტილია 300 მუშის დაჯილდოვება.

შორეულ აღმოსავლეთში.

მოსკოვი. 5 მაისი (რადიო). ჩიტადან იტყობინებიან: მიიღეს კანონი შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების გაუქმების შესახებ დამფუძნებელ კრების შემადგენლობა ეროვნულ ყრილობად გამოცხადდა. როდესაც მთელს კონსტიტუციას კენჭი უყარეს, მენშევიკებმა თავის ტაქტიკას აქაც არ უღალატეს და თავი შეიკავეს, კონსტიტუცია ერთხმად იქნა მიღებული, მხოლოდ 12-მა შეიკავა თავი.

დღეს ნომერში:

ლენინის წერილი კავკასიის კომუნისტების მიმართ სამოქმედო ხაზის შესახებ.

საბჭოთა რუსეთში ამ ბოლო დროს საზღვარ-გარეთიდან საქონელი ბლომად შემოდის.

ინგლისში საყოველთაო გაფიცვისთვის ემზადებიან.

გერმანიის კაბინეტი გადადგა.

ზემო-სილეზიაში გაფიცულია 200.000 მუშა.

დემობილიზაცია.

მოსკოვი. 5 მაისი. (რადიო). რესპუბლიკის და სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის სამხედრო რევოლიუციონურმა საბჭომ დაადგინა: შეამციროს რიცხვი სამხედრო სამედიცინო მუშაკთა შემადგენლობისა. დადგენილია მოქმედება § 6 თავდაცვითი საბჭოს დადგენილებისა... (გამოშვებულია)... აპრილს 1919 წლის... (ბოლო დამახინჯებულია).

ინგლისი და რუსეთი.

პეტერბურგი. 1 მაისი. (დეპეშით). საბჭოთა რუსეთში წამოვიდა განსაკუთრებითი კომისია ლონდონიდან რუსეთის ნავსადგურების დასათვალიერებლად და სატრანსპორტო დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად.

გერმანია და რუსეთი.

პეტერბურგი.. 1 მაისი. (დეპეშით). გერმანიიდან პეტერბურგში მოვიდა ერთი ვაგონი საფეიქრო მანქანები.

ავტომატარებელი.

პეტერბურგი. 1 მაისი. (დეპეშით). პეტერბურგში 5 ივნისისათვის მზად იქნება ინჟენერ მახონინის სისტემით აშენებული ავტო მატარებელი. წევა იწარმოებს პროპელერით, რომელიც იმოძრავებს ვაგონის მამოძრავებელებით.

ხმა მაღლა მოლაპარაკე ელსმენი.

ყაზანი. 3 მაისი. (რადიო), 1 მაისს ყაზანში გასინჯულ იქმნა ადგილობრივ ინჟენერ როსტოვსკის მიერ გამოგონილი ელსმენის გამაძლიერებელი. თეატრალურ მოედანზე და წითელ არმიელთა ბაღში მოთავსებულ იქმნა რუპორები, რომლებიც შეერთებულნი იყვნენ ელსმენის გამაძლიერებელ ვლადენით (მავთულით). რეპორიდან ხმა მაღლა და გარკვევით ისმოდა ორთავე მოედნებზე საღრიცხვო გაზეთის კითხვა. ათასობით შეგროვილი ხალხი აღფრთოვანებით მიესალმა ახალ გამოგონებას.

საზღვარ-გარეთ.

ლონდონი 12 აპრ. გაზ. „დეილი ჰერალდი“ იუწყება, რომ უენფილდში გაიმართა მრავალ რიცხოვანი მიტინგი მაღაროელების, რკინისგზელების და სხვა მუშებისა. ამ მიტინგზე ერთმა მაღაროს მუშების მეთაურთაგანმა განაცხადა: მაღაროს მუშებს განზრახვა აქვთ მშვიდობიან ტაქტიკას დაადგენ. თუ უწესოება მოხდება, ეს მუშების ბრალი როდი იქნება. თუ ძალადობას არ მოიხმარებენ, ჩვენ წყნარად ვიქნებით. მაგრამ დაე ყველამ იცოდნენ, რომ თუ იძულებული ვიქნებით დავიცვათ ჩვენი ოჯახი ჩვენ შევცვლით ჩვენს ტაქტიკას. ხელის უფლების გასაფრთხილებლად ვიმეორებთ თუ ისინი შექმნიან თეთრ გვარდიას, ჩვენ ვიშოვით საკმაო მასალას, რომ შევქმნათ წითელი არმია.

გაზეთი „დეილი მეილი“ ბეჭდავს მუშათა მოქმედების კომიტეტის მოწოდებას, რომელშიაც სხვათაშორის ნათქვამია: გამოაცხადეთ საყოველთაო გაფიცვა. დადგა კრიტიკული წამი, რომ სიმშვიდით დაუძლურებით მონობაში ჩავცვივდებით. კრიზისი შექმნა კაპიტალისტების ვერაგობამ. ისინი დიდი ხანია ემზადებიან შრომის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლოიდ-ჯორჯმა გამოაცხადა კლასობრივი ბრძოლა. და იმისი მეცადინობა უნდა დაამსხვრიოს ჩვენმა სოლიდარობამ, და მოისპოს ექსპლოატაციაზე დამყარებული წყობილება, რომლის დამცველიცაა ლოიდ-ჯორჯი. მტერს შეეხვდეთ დარაზმულნი და გაწვრთნილნი, როგორც ბრძოლისათვის გამზადებული ჯარი. ყოველ ოლქში დაარსეთ მოქმედების კომიტეტი. კლასობრივი სოლიდარობა მოგვანიჭებს გამარჯვებას. დაე ჩვენი ლოზუნგი იყოს ძახილი: „მთელი ხელის უფლება მუშებს.“

ლონდონის კონფერენციაზე.

ნაუენი 5 აპრილი (რადიო) ლონდონის კონფერენცია შესწყდა ოთხშაბათამდე. კიდევ უნდა განიხილონ რამდენიმე მუხლი. მიაღწიეს სრულ შეთანხმებას გერმანიის წინააღმდეგ სამხედრო ღონისძიებათა მიღებისა და ბერლინში უზრუნველყოფის კომიტეტის დაარსების შესახებ. აღდგენის კომისიას დაავალეს ულტიმატუმი წარუდგინოს გერმანიას:, გერმანიას მისცემენ თორმეტი დღის ვადას პასუხის მოსაცემათ. ამერიკა რადიოს საშუალებით ჩარიეს უმაღლეს საბჭოს თათბირში, რომელიც იმუშავებს რეპრესიულ ღონისძიებებს გერმანიის წინააღმდეგ.

ნეიტრალური პრესსა აუცილებლად სთვლის რურის ბასეინის დამატებით ოკუპაციას, რადგან ბრიანს მხოლოთ ამით შეუძლიან მიაღწიოს თავის მიზანს.

ჰოლანდიის პრესა ესარჩლება გერმანიას და ამტკიცებს, რომ გერმანიას არ შეუძლიან ანტანტის მოთხოვნების შესრულება.

ამბოხების დაწყება გერმანიაში.

ნაუენი, (რადიო). ქალაქი დეიჩელაუ მთელი ღამე მეამბოხეთა ხელში იყო. სროლა ქუჩებში გაძლიერდა დილამდის საფრანგეთის ჯარებმა თავის ტანკებით და პატრულებით წესრიგი აღადგინეს.

გაფიცვა ლატვიაში.

რიგა, 3 მაისი. (რადიო). მოძრაობა ლატვიაში ჯერ არ დამთავრებულა, მიაღწიეს შეთანხმებას მუშაობის ხელფასის რაოდენობაზე, მაგრამ მუშები მოითხოვენ გაფიცვის ხანაში მისალებ ფულის მიცემას.

ინგლისი ოსმალეთის წინააღმდეგ.

ბათუმი, 4 მაისი. (დეპეშით). გაზეთი „ისტიკბალი“ სწერს: ინგლისელებმა ოფიციალურად განაცხადეს თავის ნეიტრალიტეტის შესახებ ანატოლიის ამბების გამო. ნამდვილათ კი ინგლისელები ამ ამბებში იღებენ მხურვალე მონაწილეობას მით, რომ ინტენსიურად ეშველებიან ბერძნებს. ინგლისელებს ამ ჟამად უკავიათ ფრონტის ნაწილი და სწორედ ამით საშუალებას აძლევენ ბერძნებს შეამოკლონ ფრონტი და მოამზადონ ახალი ძალები.

ვრანგელელები ბერძნებთან.

ბათუმი, 4 მაისი. (დეპეშით). ბერძნული პრესის ცნობით ანატოლიის ფრონტზე უკანასკნელ ბრძოლაში წამოყვანილ ტყვეებს შორის აღმოჩნდნენ ვრანგელის ლაშქრის რუსი აფიცრები.

მოღალატეების დახოცვა.

სტამბოლი, 5 მაისი. (რადიო). ლონდონის ცნობით, ლივერპულში უპოვნიათ მოკლული თვალსაჩინო ინგლისელი მოღვაწე, ჩამომავლობით ირლანდიელი არტურ ვიკორსი, რომელიც დიდ როლსა თამაშობდა ირლანდიის საკითხების შესახებ ინგლისის პოლიტიკურ მიმართულებაში. მოკლულის გვამზე იდო ბარათი წარწერით: „ფრთხილათ მოღალატეებო, ჩვენ არას დროს არ ვივიწყებთ“.

იტალიის პროტესტი

ლონდონი. 5 მაისი (რადიო) იტალია მეტად ენერგიულად აცხადებს პროტესტს საფრანგეთის განზრახვის წინააღმდეგ-ბლოკადა გაუმართოს გერმანიის ნავთსადგურებს.

ბურჟუაზიის და ანტანტის სადიდებლად.

ვარშავა. 4. მაისი (რადიო) რეინის მარჯვენა ნაპირის ოკუპაცია გავრცელდება ტერიტორიის 100 კილომეტრის მანძილზე სიგრძით და 40 კ. კილომეტრს სიგანით შემდეგი ქალაქებით ჰეხსენით, გენზელკირხენით და მიუნჰენით.

ბერძნების დამარცხების მიზეზი.

ბათუმი. 4 მაისი (დეპეშით). საფრანგეთის პრესა ბერძნების დამარცხებას სამი მიზეზით ხსნის: 1. მოწინააღმდეგე ძალების აბუჩად აგდება, 2. მარქაფი ჯარის უყოლობა და 3. ცუდათ მოწყობილი კავშირი. ეს მიზეზები რომ არ ყოფილ ყო, ბერძნებს თავის სამი დივიზიით ადვილათ შეეძლოთ დაჭერილ პოზიციებზე გამაგრება, ამ პოზიციების შენარჩუნებას ეხლა ქემალისტები არც თუ დიდ ძალას ანდომებენ. ქემალისტების არტილერია, ცნობილია. ბერძნები ანგარიშს უწევენ ყველა ამ გარემოებას და იწყებენ თავის არმიის რეორგანიზაციისათვის ზომების მიღებას. რეზერვის პოლიტიკური მდგომარეობა კი ისეთია, რომ არმიის მდგომარეობამ შესაძლებელია მიიღოს საშიში ხასიათი.

რბევა ვარშავაში.

მოსკოვი. 5 მაისი (რადიო). ვარშავის პოლიციამ, თანახმად საიდუმლო მოწერილობისა, მოაწყო სისხლის-მღვრელი ჟლეტა ყველა პარტიის ებრაელთა სოციალისტებისა, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა საპირველმაისო დემონსტრაციაში. შეიარაღებული პოლიციელები გაეშურნენ დემონსტრანტებისაკენ, რომლებიც შეჯგუფებულნი იყვნენ შენობის გარშემო... (დამახინჯებულია) ფეხებით სთელავდნენ... (ბოლო დამახინჯებულია).

ერთმანეთს გულმხურვალედ მიესალმენ.

ლიონი. 6 მაისი. (რადიო). უმაღლეს საბჭოს უკანასკნელი სხდომა ხუთშაბათს შესდგა და გაგრძელდა სულ 25 წუთს. ხელი მოაწერეს მოკავშირეთა საერთო განცხადებას, რომელსაც შეატყობინებენ გერმანიას ლონდონში მყოფ გერმანიის ელჩის დ-რ შტამერის საშუალებით. ლოიდ-ჯორჯი და ბრიანი დაშორებისას ერთმანეთს გულმხურვალედ მიესალმენ.

ნეიტრალური სახელმწიფოთა ბეჭდვითი ორგანოების უკმაყოფილება.

ნაუენი. 3 მაისი. (რადიო) ჰოლანდიის ბეჭვდითი ორგანოები ერთხმათ და ენერგიულად ჰკიცხავენ საფრანგეთის მოქმედებას. მათის აზრით საფრანგეთი მიისწრაფვის ევროპის ეკონომიური კეთილ დღეობის დანგრევისაკენ. საერთოდ ყველა ნეიტრალური სახელმწიფოთა ორგანოები დიდი უკმაყოფილებას გამოსთქვამენ საფრანგეთის გაზეთების მიმართ გერმანიის წინადადების შესახებ შეუფერებელ პოზიციის გამო.

„ნოვოე ვრემია“-ს განახლება.

დონის როსტოვი. (ტელეგრაფი) ბელგრადში რუსის მემარჯვენეთა წრეები აპირობენ „ნოვოე ვრემიას“ გამოცემას ბორის სუვორინის რედაქციით.

რა უპასუხა ამერიკამ.

ნაუენი. 4 მაისი. (რადიო). გერმანიის საგარეო საქ. სამინისტრომ, როგორც კი მიიღო შეერთებულ შტატების მთავრობისაგან საპასუხო ნოტა, პასუხათ გერმანიის მთავრობის მიერ 24 აპრილის თარიღით გაგზავნილ ნოტისა, შესახებ მოლაპარაკების განახლებისა, შეუძლებლათ სცნო ნოტაში გამოთქმულ წინადადების მიღება, ვინაიდან ის მოკავშირებთან მოლაპარაკების განახლების საფუძვლათ გერმანიისათვის გამოუსადეგარი და მიუღებელია. შეერთებულ შტატების მთავრობა დაბეჯითებით და სერიოზულათ სთხოვს გერმანიას, რომ მან წამოაყენოს გარკვეული გად ჭრილი და დამაკმაყოფილებელი წინადადება, რათა შესაძლებელი იქმნეს ამ სასიცოცხლო კითხვის მოგვარება. ასეთ წინადადებას უსათუოდ გამოუჩნდება დამცველათ მიუდგომელი მოსამართლე.

ბრიანის მადა.

ნაუენი. 5 მაისი. (რადიო). გაზეთების ცნობით ბრიანს დიდი იმედები აქვს ლონდონის დღევანდელი კონფერენციისა. მისი აზრით კონფერენცია გაჰონახავს დათმობის და შეთანხმების გზას. „ჰუმანიტეს“ შეხედულობით 1919 წლ. მობილიზაციის გამოცხადება უსათუოდ გამოიწვევს საერთო გაფიცვას. „პუპლის“ აზრით ბრიანი გაუმაძღარი მადისაა. კონსერვატორული მიმართულების ორგანოები დიდს მოუთმენლობას და უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ხოლმე. საპარლამენტო წრეებში დიდი უკმაყოფილებაა უმაღლეს საბჭოს დადგენილების გამო რურის ოლქის ოკუპაციის შესახებ. ინგლისის მთელი რიგი საწარმოვო და სავაჭრო საზოგადოებებმა ინგლისის და ოთხმა დიდმა ბანკმა საპროტესტო ქაღალდი წარუდგინეს ლოიდ-ჯორჯს რურის ოლქის დაკავების შესახებ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

მიწად-მოქმედების სახ ლხო კომისარიატის ცირკულიარები სამაზრო რევკომების მიმართ მიწების შესახებ.

№ 1.

საადგილ-მამულო ურთიერთობის და მიწით სარგებლობის მოწესრიგების დროს, ყოველივე ანარქიის და არევ დარევის თავიდან ასაცილებლათ, წინადადება გეძლევათ, თანახმათ მუხ. 6 ა. წ. 6 აპრილის დეკრეტისა № 17 მიწის შესახებ, დაუყოვნებლივ შეუდგეთ მიწის კომიტეტების შედგენას, რის შესრულების დროსაც უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1) სამაზრო რევკომის რწმუნებულნი მიდიან სოფლებში, შეჰყრიან უმიწაწყლო, მცირე და საშუალო მიწის მქონე მშრომელთა ყრილობას და ეს უკანასკნელი თავიანთ შორის ირჩევს მიწის კომიტეტს; ყრილობას თავმჯდომარეობს რევკომის რწმუნებული.

2) როცა ორი ან მეტი სოფელი ერთმანეთთან ახლო მდებარეობენ ან მათი მიწაწყალის ურთიერთობა და საკითხი იმდენათ გადაბმულნი არიან, რომ გარემოება მოითხოვს მათი მიწების საქმის ერთად და თანხმობით გადაჭრას, ასეთ სოფლებს შეუძლიანთ აირჩიონ ერთი კომიტეტი.

3) როცა მიწის კომიტეტს ირჩევს ერთი სოფელი, მასში უნდა აირჩეს არა ნაკლებ სამისა და არა უმეტეს ხუთი პირისა და როცა კომიტეტს ირჩევს ორი ან მეტი სოფელი ერთად, ამ კომიტეტში თითო სოფლიდან უნდა აირჩეს არა უმეტეს სამი კაცისა.

4) მიწის კომიტეტი თავის წევრებს შორის აირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც შეასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას, თუ ამ თანამდებობით აღჭურვილი არ აღმოჩნდება მიწად მოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი.

5) თანახმად დეკრეტისა, მიწის კომიტეტები ახდენენ მიწის ჩამორთმევას (კონფისკაციას) მიწად-მოქმედების კომისარიატის და სამაზრო გლეხთა დეპუტატების საბჭოს ან რევ.-კომ. წარმომადგენლებთან ერთად (მუხ. 6. დეკრ.) ამის გამო მიწის კომიტეტებს არ შეუძლიანთ აწარმოონ მიწების ჩამორთმევა (კონფისკაცია) აღნიშნულ წარმომადგენელთა მოსვლამდე.

6) დამთავრებისთანავე კომიტეტების მოწყობა, სამაზრო რევკომები ტელეგრაფით აცნობებენ სახალხო კომისარიატს კომიტეტების რაოდენობას, რათა კომისარიატმა იცოდეს თუ რამდენი წარმომადგენელი დ სჭირდება გასაგზავნათ თავის მხრით თითო მაზრაში.

7) მიწის კომიტეტებს ჯილდოს მისცემს მთელი სოფელი. ჯილდო განსაზღვრული უნდა იქნეს კომიტეტის ამორჩევ ყრილობაზე. მიწის კომიტეტი მიიღებს ჯილდოს დღიდან მისი მოქმედების დაწყებისა. 14 აპრილი 1921 წ.

№ 2.

მიუხედავათ საქართველოს რევკომის ცირკულიარულ განკარგულებისა და ამავე რევკომის მიწის დეკრეტის დედა აზრისა, რესპუბლიკაში და განსაკუთრებით რამოდენიმე მაზრაში ფართოთ აქვს ადგილი არა სასურველ მოვლენებს მიწის დარგში, ე. ი. მცხოვრებნი თავის ნებით და ძალადობით იტაცებენ მიწებს: ამას ადასტურებს მეტად ხშირი საჩივრები, რომლებიც შემოდიან კომისარიატში.

კიდევ განმეორებით გაცნობებთ სახელმძღვანელოთ, რომ სანამ არ მოეწყობა მიწის კომიტეტები, რომლებიც მიწად-მოქმედების კომისარიატის ხელმძღვანელობით განახორციელებენ მიწის რეფორმას, რევკომებმა მაზრაში არ უნდა დაუშვან ანარქიის გამეფება, ე. ი. მცხოვრებნი თავის ნებით და ძალადობით ნუ შეეხებიან წვრილ და საშუალო მესაკუთრეებს და საერთოდ ნუ არღვევენ ფაქტიურ მფლობელობას. 19 აპრ. 1921 წ.

№ 3.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი, იღებს რა მხედველობაში, რომ მიწის კომიტეტების მუშაობას ნორმების გამოკვლევის შესახებ და გეგმების გამომუშავებას, დამტკიცებას და ადგილზე შესრულებას დასჭირდება დიდი დრო, ცხოვრება კი თხოულობს აგრარულ კითხვების ამ წუთშივე ასე თუ ისე გადაჭრას, ავალებს სამაზრო რევოლიუციონურ კომიტეტებს მიიღონ ეხლავე შემდეგი დროებითი წესები სახელმძღვანელოთ:

1) არავინ გასცეს მიწა სამუშაოთ ქირით ან ღალით, გარდა წვრილ-შვილიანი ქვრივი დედაკაცებისა, სამხედრო, ან სამოქალაქო სამსახურში მობილიზაციით გაწვეულთა და ისეთი პირებისა, რომლებიც დასნეულების ან ღრმა მოხუცებულობის გამო თითონ ვერ შესძლებენ მიწის დამუშავებას და ოჯახში ეყოლებათ მიწის მუშაკი.

2) საზიაროთ გაცემული წვრილი და საშუალო ზომის მიწების შესახებ პირობები უნდა ძალაში დარჩეს ამ წლის მოსავლის მოწევამდე

3) უმიწაწყლო ან მცირე მიწის მქონე სოფლელთ აღმოეჩინოთ დახმარება, რათა ისინი შეერთდენ ნება-ყოფლობით კომუნებში ან ამხანაგობებში და ერთად დაამუშავონ მიწა. ამ შემთხვევაში მათ უნდა მიეცეს დროებით, სათანადო კანონის გამოცემამდე, ცალკე ნაჭერი სახნავ-სათესი მიწისა სახელმწიფო საადგილ-მამულო თავისუფალი ფონდიდან და თუ საჭირო და შესაძლებელია, მუშა, საქონელი, იარაღი და სათესი მასალა.

4) თუ კომუნებათ, ამხანაგობებათ ან ჯგუფებათ შეერთება არ მოეწყო, მიეცეს უმიწაწყლოებს და მცირე მიწის მქონე სოფლის მუშას სახელმწიფო საადგილ მამულო თავისუფალი ფონდიდან საკმაო მიწა დასამუშავებლათ და საჭიროების და შეძლების გვარათ დახმარება მუშა საქონლით, იარაღით და სათესი მასალით.

5) არ დარჩეს დაუმუშავებელი არც ერთი სახნავ-სათესათ ვარგებული მიწის ნაჭერი, ბაღი ან ვენახი მოუვლელი.

6) როდესაც აღიძრება რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეეხება რამოდენიმე სოფელს, მოხდეს ამ სოფლების მიწის კომიტეტების შეერთებული კრება სამაზრო რევ. კომ. წარმომადგენლის თანადასწრებით საქმის მოსაგვარებლათ.

7) საერთოდ ყველა კითხვები საადგილ მამულო ურთი-ერთობის და მიწის შესახებ უნდა გადაწყვეტილ იქნას რევოლიუციონურ სინდისის და სამართლიანობის თანახმათ, და ყველა გადაწყვეტილებები მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს ეცნობოს.

8) მეშვიდე მუხლში ნაჩვენები გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირთ შეუძლიანთ გაასაჩივრონ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს ორი კვირისა.

9) საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. 20 აპრილი, 1921 წ.

№ 4.

მიწის დეკრეტის (6 აპრილი № 17) ზოგიერთ მუხლების განსამარტებლათ მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი აცხადებს შემდეგს:

1) თანახმად ა. წ. 23 აპრილის დამტკიცებულ „წესების“ 3-მე მუხლისა მიწების ჩამორთმევა-დანაწილების შესახებ საქართველოში მიწით სარგებლობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვინც კი დაამუშავებს მას საკუთარის შრომით.

2) ყოფილ მემამულეს, რომელიც დაბრუნდება თავის მამულში ამა წლის 15 ივნისამდე და განაცხადებს, რომ მას სურს მიწის დამუშავება საკუთარი შრომით, საერთო წესით უნდა მიეცეს ნორმა დეკრეტის ძალით თავის ყოფილ მამულში.

3) დაბრუნებული მემამულე, რომელიც 1922 წ. 1 იანვრამდე არ შეუდგება მიცემული ნორმის თავისი შრომით დამუშავებას, ჰკარგავს უფლებას მინიჭებულ ნორმაზე, რომელიც ჩაითვლება მიწის ფონდში.

4) ყველა მუშა მოსამსახურეს საქართველოს საბჭოთა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამრეწველო დაწესებულებებისა, რომლის მფლობელობაში არის მცირე ან საშუალო ზომის მიწაადგილი, დამუშავებული თუ დასამუშავებელი, და რომელიც მხოლოდ დრო გამოშვებით მიდის სოფლათ სამუშაოთ, უფლება აქვს დაიტოვოს თავის მფლობელობაში ასეთი მიწები.

5) მეოთხე მუხლი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ცხოვრობენ სხვისი შრომის ექსპლოატაციით (ვაჭრები, ფაბრიკა-ქარხნების პატრონები და სხვა). 27 აპრილი 1921 წ.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო განყოფილების გამგე: (ხელმოწერილია)

განაწესი.

ტფილისის ბანკების სეიფების გახსნისა და მათში დაცულ განძეულობის აღრიცხვო კომისიისა.

1. ტფილისის ბანკების სეიფების გახსნისა და მათში დაცულ განძეულობის აღრიცხვისათვის შესდგება საუწყებათაშორისო სპეციალური კომისია შემდეგი პასუხისმგებელ წარმომადგენელთაგან: თითო წარმომადგენელი ს. ს. რ. ფინანსთა კომისარისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, პროფესიონალური კავშირების საბჭოსი და ბანკების კომისარისა პირადად, ან მისი მოადგილისა. კომისიას უფლება ეძლევა თავისი არჩევით მოიწვიოს როგორც შემფასებელი ექსპერტები ერთი ან ორი სპეციალისტი ღირებულების გამოსარკვევათ ძვირფასი ქვებისა, ოქროდან ან ვერცხლიდან ნაკეთები საგნებისა და ძველი ნივთებისა, რომელიც ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობა.

2. ამ განაწესის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ დამტკიცების შემდეგ ბანკების სეიფების დამქირავებელ ყველა აბონენტებს ორჯელ ეცნობებათ გაზ. „პრავდა გრუზია“ და გაზ. „კომუნისტ“-ში გამოცხადებით, აგრეთვე ცალკე ბარათებით, რომელიც მათ სახლებში გაეგზავნებათ სათანადო ბანკების მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, რომ ყველა აბონენტები აუცილებლად თავისი სეიფების გასაღებებით გამოცხადნენ შემდეგი წესით:

კავკასიის ბანკიდან აღრიცხვა დაიწყება მაისის 10-ს, ყუთი № 1 დან № 1000-დე

3. სეიფების საღრიცხვო კომისია ბანკების კომისარისა ან მისი მოადგილის თანდასწრებით დანიშნულ დღეებში დილის 10 საათიდან მივა წინასწარ გათვალისწინებულ ბანკში და ბანკის ყოფილ ადმინისტრაციასა და მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტთან ერთად მოხსნის სეიფებს, ბეჭედს და კომისიის მიერ შემუშავებული წესით დაიბარებს სეიფების მიხედვით აბონენტებს.

4. სეიფების გახსნის დროს კომისია ხელმძღვანელობს შემდეგი წესით:

ა) ძვირფასი ლითონი: პლატინა, ოქრო, ვერცხლი ან სხვა ამისთანა ზოდებათ ან ფულებათ უნდა ამოღებულ იქნეს სეიფებიდან ცალკე სიით საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალური ფონდისათვის და დაბეჭდილი უნდა ჩაბარდეს ყოფილ სახელმწიფო ბანკს.

ბ) ოქრო და ვერცხლის ნივთები და აგრეთვე ძვირფასი ქვები უნდა შეფასებულ იქნეს დაწვრილებითი აღნუსხვით ყოველი სეიფისათვის ცალკე, ისინი არ უნდა დაუბრუნდეს პატრონებს და უკანვე უნდა იქნენ ჩადებული ყუთში ახალ განკარგულებამდე.

გ) რომანოვებისეული ფული, ყოველგვარი ვალიუტა ბანკნოტებით, ჩეკებით და ლითონისა უნდა ამოღებულ იქნეს სეიფიდან იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია პუნქ. ა—ში, ხოლო სხვა % ქაღალდები, როგორათაც: შინაური სესხი და რენტა—პუნქ. ბ—ში ნაჩვენები წესით:

დ) სეიფებიდან უნდა ამოღებულ იქნეს მანუფაქტურა, ტყავი, ძაფი რაოდენობის განუსაზღვრელად და ჩაბარდეს ყოფილ სახელმწიფო ბანკს.

ე) ყველა სხვა ლითონისაგან ნაკეთები საგნები, მაგრამ არც ვერცხლისა და არც ოქროსი, სახელდობრ: დანები, ჩანგლები, ჰქები და სხ. შეუძლიანთ წაიღონ მათ პატრონებმა აღრიცხვის დროს.

5. თავისი ნებით გამოცხადებულ პატრონთა სეიფების აღრიცხვის გათავების შემდეგ კომისია, თავისი სურვილით, დანიშნავს დღეებს, როდესაც უნდა იქნენ გახსნილი ის სეიფები, რომელთა აბონენტები არ გამოცხადნენ, ამასთანავე წინასწარ უნდა გაფრთხილებულ იქნეს ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტი მილიციის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ.

6. ყოველივე გახსნილი ყუთის შესახებ უნდა შესდგეს აქტი, რომელშიაც დაწვრილებით უნდა აღინიშნოს ყველა მასში აღმოჩენილი განძი. უკეთუ ყუთი, კომისიის მიერ მიღებული სწორი ცნობებით, ეკუთვნის გაქცეულ პირებს, ყველა იმას, რაც მასში აღმოჩნდება კონფისკაცია უნდა ექმნეს რესპუბლიკის სასარგებლოთ, დანარჩენ შემთხვევებში კი, როგორათაც: პატრონის პიროვნების გამორკვევამდე, ყუთი დაბეჭდილი გადატანილი უნდა იქნეს სახელმწიფო ბანკში გარკვეული და გასაგები წარწერით მისი პატრონის გვარისა, რომელიც აღრიცხვის დროს არ აღმოჩნდა.

დამტკიცებულია საქართველოს რევკომის 1921 წლ. მაისის 3-ს. დადგენილებით.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

1921 წ. მაისის 6-ს.

ქ. თბილისი.

ქრონიკა

ამხ. ნარიმანოვის წასვლა. 2 მაისს თფილისიდან ბაქოს გაემგზავრა აზერბაიჯანის რევკომის თავმჯდომარე ამხ. ნარიმანოვი.

◆ **ქურდების აღმოჩენა.** 31 აპრილს გაქურდეს იტალიის ელჩი. წაიღეს 5678 იტალიური ლირა. 5 მაისს სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა—კაჭალმაძემ ქურდები და ფული აღმოაჩინა. ფული გადაეცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ინფორბიურო.

◆ **ელექტრონის ლამფების მოპარვა.** თფილისის მილიციის უფროსმა ყურადღება მიაქცია ქუჩების ელექტრონის ლამფების ქურდობას და განსაკუთრებული ბრძანება გამოსცა, რომლითაც აკრძალა ქუჩებში ბოძებზედ და კედლებზედ ასვლა, სადაც კი ელექტრონის ლამფებია, თუ ამისათვის არ ექნებათ შესაფერი მანდატი და მოწმობა. ამ ბრძანების ასრულებაზე თვალყურის დევნა დავალებული აქვთ სადარაჯოზე მდგომ მილიციონერებს.

◆ **რკინის გზებზე.** რკინის გზების უფროსის წასვლა. ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების რკინის გზების უფროსი საქართველოს სამხედრო გზით წავიდა როსტოვში.

◆ **ნავთის გადმოქაჩვა.** ამ დღეებში დაიწყობა ნავთის გადმოქაჩვა სადგურ ძეგამიდან სადგურ სალოღლზე. გადმოსაქაჩავია 400,000 ფუთი ნავთი.

◆ **ლტოლვილთა გაგზავნა.** 5 მაისს სადგურ თბილისიდან და სანდარიდან ყარსში გაგზავნეს 900 ლტოლვილი.

◆ **მეაფთიაქეთა შუამდგომლობა.** თბილისის აფთიაქების პატრონებმა გადასწყვიტეს მიმართონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს შუამდგომლობით, რომ აფთიაქებს შეაძლებინონ წესიერი მოქმედება, ე. ი., რომ ყველა აფთიაქებს მიეცეთ ნავთი, ზეთი და სხვა საჭირო მასალა და აგრეთვე მედიკამენტები. ამას გარდა აფთიაქები შუამდგომლობენ წამლებისათვის ახალ ნიხრის გამოცემას.

◆ **ტყიბულის მაღაროებში.** ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნებში სამუშაოთ 4 მაისს წავიდა სამთამადნო ინჟინერების კომისია.

◆ **წყლისაგან წაღებული ხიდი.** ორთაჭალის ხის ხიდი მტკვრის მძლავრმა მდინარებამ შუაზედ გაგლიჯა. წყალმა წაიღო ხიდის ნაწილი 8 საჟენამდე. ხიდის შეკეთებას უკვე შეუდგნენ.

◆ **ავადმყოფებისათვის შვებულება.** ამიერ კავკასიის საბჭოთა რკინის გზის უფროსმა ყველა ხელქვეით დაწესებულებების უფროსებს აცნობა: შემჩნეულია: რომ ავადმყოფობის მიზეზით მრავალი მსახურნი თავისუფლდებიან სამსახურიდან. წინადადებას ვაძლევთ გაანთავისუფლოთ მსახურნი მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოითხოვს აუცილებელი საჭიროება. ავადმყოფი მსახური, რომელიც ავადმყოფობის გამო 3 დღით განთავისუფლებული იყო და კვლავ იმავე მიზეზით თხოულობს ახალ შვებულებას, უეჭველად უნდა გამოცხადდეს ექიმების კომისიაში მისი [illegible] გამოსარკვევად.

ხელოვნება

გაზეთი „პოეზიის დღე“.

7 მაისს, ქართულ მწერალთა ტრადიციული დღესასწაულის გამო გამოვიდა მწერალთა კავშირის საბჭოს ხელმძღვანელობით გაზეთი „პოეზიის დღე“. მონაწილეობენ: დ. მეგრელი, გრ. რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ობოლი მუშა, ვ. რუხაძე, რაჟდენ გვეტაძე, იასამანი, შალვა კარმელი, აკაკი პაპავა, ნოე ჩხიკვაძე, (დაუბეჭდავი ლექსი), ს. აბაშელი, ხარიტონ ვარდოშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი, ლადო მაჭავარიანი, გრ. ცეცხლაძე, თამარ გოგოლაშვილი, ვასილ ბარნოვი, კოწია გამსახურდია, დ. თურდოსპირელი და სხ.

პროფესიონალურ კავშირებში

საერთო საქალაქო მელითონეთა მუშების კონფერენციის სხდომაზე.

მელითონეთა მუშების კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ამხ. ბირიუკოვი თავის მოხსენებაში ლითონის მრეწველობის მდგომარეობაზე საქართველოში, აღნიშნავს შემდეგს: იმ დროს, როდესაც ქვეყანა მდიდარია ყოველგვარი დასამუშავებელ მადნეულობით, დამუშავებითი მრეწველობა ფრიად სუსტია და ხასიათდება წვრილ შინა-მრეწველობით. მრეწველობას საქართველოში კარგი მომავალი აქვს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყანაში სრულიად იქნება გავრცელებული დასამუშავებელი ძალები, მრეწველობის ელექტროფიკაცია და გზები; ამასთანავე თუ იქნება საკმაო კვალიფიციური მუშათა კონტიგენტი, რომლის ნაკლებობა ახლავე საგრძნობელია. შეეხო რა ლითონის პრაქტიკულ დამუშავების შეფასებას, მომხსენებელმა აღნიშნა უპირველესათ ყოვლისა სამუშაოს შემაფერხებელი გარემოება — გადასახიდ უალების უქონლობა, ამასთანავე ელი უქონლობა სტატისტიკური ცნობებისა საქართველოში მრეწველობის შესახებ. ლითონის განყოფილების წინაშე კონკრეტიულად სდგას შემდეგი ორი კითხვა: პირველი—ცენტრალიზაცია ყოველგვარი შინა-მრეწველობისა და მეორე—კარგად გამოცდილ კვალიფიციურ მუშათა კადრის შექმნა, რისთვისაც საჭიროა პროფესიონალური ტეხნიკური კურსების საჩქაროთ დაარსება, რის განხორციელებასაც სცდილობს ლითონის განყოფილება. შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. ავდაკოვმა, რომელიც აღნიშნავს იმ ნაკლუვანებას, რაც კავშირის წარმომადგენლობის აზრით, ახლავს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. ეს არის უპირველესათ ყოვლისა პროტეკციონიზმი, სპეციალისტების თბილ ადგილებში ჩაყენებისა, რაც ხელს უწყობს ამ დაწესებულებების გაბერვას არაჩვეულებრივ ზომებამდის და აგრეთვე ბუნებრივათ ხელს უშლის ამ დაწესებულებების ნორმალურ მუშაობას. მომხსენებელი იძლევა რეზოლიუციის გამოტანის წინადადებას, რომელმაც უნდა აღნიშნოს ეს დაუშვებელი მოვლენა.

ლითონის განყოფილების მოხსენებაზე კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „იმის გამო, რომ ლითონის გადამმუშავებელი მრეწველობა ქ. თბილისში და მთელ საქართველოში შინა მრეწველობის ხასიათისაა, ამ მრეწველობის განსავითარებლად საჭიროა დაუყონებლივ გატარდეს უფრო დიდი და საშუალო წარმოებათა ნაციონალიზაცია და კონცენტრაცია. კონფერენცია საჭიროდ სთვლის, რათა მელითონეთა საწარმოო კავშირმა მიიღოს უშუალო მონაწილეობა წარმოების ორგანიზაციებში, შევიდეს უფრო მჭიდრო კავშირში სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არა მარტო სამეურნეო ორგანოებში, არამედ მიიღოს მონაწილეობა წარმოების ყველა გეგმების შემუშავებაში და მართველობის ორგანიზაციაში.

კონფერენციას გადაუდებელ მიზნად მიაჩნია, რათა გაიხსნას საპროფესიო ტეხნიკური ცოდნის კურსები და ამ კურსების მოწყობაში საწარმოო კავშირი მიიღებს მონაწილეობას საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსა და შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად“.

შემდეგ კონფერენცია ისმენს მოხსენებას ადგილებიდან ელექტრო-სადგურის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი ამხ. ბუაძე თავის მოხსენებაში ელექტრო-სადგურის მდგომარეობის შესახებ აღნიშნავს სადგურის კრიტიკულ მდგომარეობას, რომელიც თან და თან ეცემა, მანქანების ხმარებისა და შეუკეთებლობისა და სამუშაოს ზედ-მეტად დატვირთვის გამო.

სადგურის ასეთი მდგომარეობა, მომხსენებლის აზრით, თუ არ იქნება სათანადო ზომები მიღებული, გამოიწვევს სრულ მის განადგურებას და ქალაქს მოელის შიში უსინათლოდ, ხოლო წარმოებათ უენერგიოთ დარჩენისა. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი საშუალება არის დაუყონებლივი ნაციონალიზაცია ყველა სადგურებისა და მათი მანქანების კაპიტალური რემონტი, რისთვისაც საჭიროა მოეწყოს მფრინავი მუშათა რაზმები და სადგურების სამუშაო ურთ-ერთ შორის განაწილება. ამხ. ბუაძის მოხსენების გამო შემოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: 1) კონფერენცია, აღნიშნავს რა ელექ.-სადგურების კატასტროფიულ მდგომარეობას, სცნობს, რომ დროზე აშორებულ იქნას სადგურის [illegible] დანგრევა და ქალაქის უსინათლოდ დარჩენა, აუცილებელია: ა) ელექტრო სადგურების დაუყონებლივი ნაციონალიზაცია, ბ) განსაკუთრებულ დამკვრელ რაზმების ორგანიზაცია მუშებისაგან, გ) დაევალოს მომარაგების სახალხო მეურნეობის საბჭოს რემონტისთვის საჭირო მასალების პირველ რიგში მიწოდება და დ) გამოყენებულ იქნეს ყველა ქალაქში არსებული მამოძრავებლები.

პროფკავშირების მოწყობა გურიაში.

გურიიდან დაბრუნებულმა სასურსათო სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. დოლიძემ, თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ გურიის ქალაქებსა და დაბებში მოწყობილია პროფკავშირების საბჭო. გახსნილია შრომის ბიურო, სადაც ხდება უმუშევართა აღრიცხვა და საიდანაც ეძლევათ მათ სამუშაო. რადგანაც უმუშევართა მომეტებული ნაწილი თავ თავის სახლებში ცხოვრობს, ამიტომ მათთვის საჭირო არ არის იაფი სასადილოების დაარსება. გაჭირვებულთ შველის სოც. უზრუნველყოფის განყოფილება. პროფკავშირების მოწყობის საქმე ნელის ნაბიჯით მიდის. გურიაში არსებობდა სულ ათი კავშირი. სახალხო მასწავლებელთა კავშირი, მეაფთიაქეთა, ტყის მეთვალყურეთა, სახელმწიფო მოსამსახურეთა, კოოპერატივთა, პლანტაციების მუშების, ქარხნების მუშების, და მომრიგებელ სასამართლოების მოსამსახურეთა. ამ კავშირთა შორის უმთავრესი ალაგი ეჭირათ სახალხო მასწავლებელთა და ყოფილ ერობის მოსამსახურეთა კავშირს.

ფოთის პროფ. კავშირები.

ამხ. ორდილავაძე ფოთის პროფკავშირების მდგომარეობის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: ქალაქ ფოთში იყო მხოლოდ ოთხი პროფკავშირი. რკინის გზელების კავშირი, წყალზედ მომუშავეთა კავშირი, დამტვირთველთა და ფარმაცევტების კავშირი. სხვა პროფესიონალური საწარმოვო კავშირები არ იყვნენ მოწყობილნი. მთელი მუშაობა გამოიხატებოდა მხოლოდ მუშების მდგომარეობის ეკონომიურად გაუმჯობესობის საქმეში. ამხ. ოდილავაძემ მოიწვია პასუხისმგებელ პროფმუშაკთა კრება.

მუშათა ცხოვრება

შრომის სახალხო კომისარიატში.

29 აპრილს შრომის სახალხო კომისარიატთან შესდგა განსაკუთრებული თათბირი ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის, საავადმყოფო კასსისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს წარმომადგენელთა თანადასწრებით. ამ თათბირში დაწვრილებით განიხილეს საკითხები სანატორიებისა, მუშებისათვის ამბულატორიების გახსნისა და სასურსათო საკითხის მოწესრიგების შესახებ. იმ საავადმყოფო კასსის მონაწილეებისთვის, რომელთაც სჭირიათ გაძლიერებული კვება. უკანასკნელ საკითხის შესახებ თათბირმა გამოსთქვა აზრი, რომ რაციონების ნახევარი უთუოდ გადაეცეს ქალაქის სასურსათო კომიტეტს საავადმყოფო კასის ექიმების რეცეპტებით, ხოლო მეორე ნახევარი განაწილდეს წითელ არმიელთა და მცხოვრებთა შორის. სანატორიების შესახებ, გადასწყვიტეს დაარსონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან საევაკუაციო პუნქტი, რომელმაც უნდა განაგოს ავადმყოფების სენის მიხედვით სანატორიებში განაწილება. სანატორიები დანიშნულნი იქნებიან დაქრავებულ მუშაკთათვის; ამასთან სანატორიებში მოსარჩენად თავდაპირველად მიიღებიან ფიზიკურათ მომუშავენი.

პროვინციაში

ახალ-სენაკი.

24 აპრილს შესდგა ახალ-სენაკის ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომელთა საერთო კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. კობახიძე, მდივნად ამხ. ხუხუა.

დღიური წესრიგი:

1) ფ. ტ. თანამშრომელთა მთავარ კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ლომაიასი მოხსენება მიმდინარე მომენტზე და 2) ადგილობრივი კომიტეტის არჩევნები.

ამხ. ლომაიამ თავისი ვრცელი სიტყვაში ნათლად დაასურათა სოციალისტური მოძრაობის მსვლელობა რუსეთში, აღნიშნა ის აუარებელი დაბრკოლებანი, რომელნიც წინ გადაეღობა მუშათა და გლეხთა ძალა-უფლების განმტკიცებას, დაწვრილებით შეეხო სოციალისტურ საამშენებლო მუშაობას, რომელშიაც ერთად ერთი გამოსავალია თანამედროვე მსოფლიო კრიზისიდან და დასასრულ მოუწოდა ამხანაგებს მთელი თავისი ენერგიით, გამოცდილებით და მშრომით ხელი შეუწყონ საქართველოს საბჭოთა წესწყობილების განმტკიცებას მშრომელი მასის საკეთილდღეოთ.

მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა—რა მოხსენება ამხ. ლომაიასი მიმდინარე მომენტზე, ახალ-სენაკის ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომელთა საერთო კრება აღიარებს, რომ ყოფილი მენშევიკური მთავრობის მოქმედება მიმართული იყო მუშათა და გლეხთა ინტერესების წინააღმდეგ, აღფრთოვანებულია მშრომელთა მასსის გამარჯვებით: ხელს შეუწყობს მთელი თავისი ენერგიით სოციალისტური წესწყობილების განმტკიცებას, საბჭოთა ძალაუფლების გაძლიერებას საქართველოში მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მის მთავრობას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის შტაბს—**მესამე ინტერნაციონალს.**

გაუმარჯოს საქართველოში კომუნისტური მოძრაობის ბელადებს, ამხ. ფილიპე მახარაძეს და მიხა ცხაკაიას.

შემდეგ არჩეულ იქმნა ადგილობრივი კომიტეტი სამი პირისაგან, 1) ამხ. ალექსენტი კობახიძე თავმჯდომარეთ, 2) ამ. ელიზბარ ხუხუა თავმჯდომარის ამხანაგათ და 3) კონსტანტინე კუჭავა მდივნად, მათი კანდიდატათ ამხ. ვაშაკიძე.

სარევიზიო კომისიაში შევიდნენ: 1) ამხ. ვაჟავა, 2) ამხ. ხოშტარია და 3) ამხ. გუნია.

— —

სოფ. ასურეთი

1 მაისის დღესასწაული ასურეთში ჩინებულათ იქმნა მოწყობილი. 12 საათისთვის მოედანზე მოიყარა თავი ხალხმა, სოფელთა წარმომადგენლებმა, აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებათა მეთაურებმა და მოწაფეებმა თავის მასწავლებლებით. მიტინგი გახსნა ამხ. ვ. ბერძენიშვილმა მარსელიეზის ტკბილის ხმის ქვეშ, რომელსაც აწყობდა ადგილობრივი სასწავლებელი კოლონისტებისა. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ბერძენიშვილმა, ანდრო ხარიაძემ, და სხვ. რის შემდეგ გამოტანილი იქმნა რეზოლიუცია:

ასურეთის უბნის მრავალთა შეკრებილმა მშრომელმა ხალხმა პირველ მაისს დღესასწაულზე გამოაცხადეს თავიანთი სურვილი, დაარწმუნონ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა მთავრობა იმაში, რომ ისინი იხმარენ ყოველივე ძალღონეს თავიანთი მუდმივი განუწყვეტელ შრომით განამტკიცონ მუშა-გლეხობის სოციალისტური რესპუბლიკა და მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას მის აღმშენებლობით მუშაობაში.

დაადგინეს გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშები საქართველოს რევკომს, ცეკას, ტეკას, ამხ. ლენინს. ხალხი მუზიკის და სიმღერის ქვეშ ადგილობრივ სასწავლებლის, რევკომის შენობასთან თავმოყრილი დაიშალა. დღესასწაულმა დასტოვა ხალხზე მეტად კარგი შთაბეჭდილება.

მიტინგის ხელმძღვანელი ივ. ბერძენიშვილი.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—[illegible] ბაზარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

მე-5-თე რაიონის ბიურო—ბაზრის ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

პროფესიონალური

1921 წ. 11 მაისს, საღამოს 5 საათზე, მოწვეულია საერთო კრება კავშირი „ნემსი“-ს წევრების.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრება შესდგება ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში, პლეხანოვის ქ. № 123.

შეჯიბრება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშნების ნიმუშების დამზადებაზე

ფულის ნიშნები დაიბეჭდება 30, 50, 100, 500, 1000, 5000 და 10.000 მან. ღირებულობის.

შეჯიბრების პირობები:

1) ფულის ნიშნის ნახატები, ქართული ათას მანეთიანი ბონის ფორმატის ოდენა და სამი სხვადასხვა ნაირი წარმოდგენილი შეჯიბრებისთვის, უნდა იყოს დამთავრებულის სახით, ორივე გვერდებზე ორი ფერით.

2) ნიშნებზე უნდა იქნეს ქართულ, ფრანგულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე შემდეგი შინაარსის წარწერა: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ფულის ნიშანი“.

გარდა ამისა წარწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ ზემოჩამოთვლილ ხუთ ენაზე და აგრეთვე ინგლისურ, გერმანულ და იტალიურზე.

3) ფულის ნიშნები უნდა იქნეს შესრულებული ქართულ სტილზე, რომელშიაც უნდა იყოს გამოხატული ჩაქუჩი და ნამგალი.

4) დაჯილდოვება: საუკეთესო ნამუშევრისთვის მან. 500,000,—საშუალო მან. 300,000.—და შემდეგ მან. 200,000.

5) სრულიად დამთავრებული ნახატები შემსრულებლის პსევდონიმით ცალკე კონვერტში და ამ პსევდონიმის ვინაობის აღნიშვნით მეორე კონვერტში წარმოდგენილ უნდა იყოს ორივე. სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციაში **ექსპედიციის კომისრის სახელზე** არა უგვიანეს მიმდინარე მაისის 25-სა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-მდე.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

განცხადება

პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობასთან არსებული სალექტორო ბიუროს ესაჭიროება სხვა და სხვა დარგში მომზადებული

ლექტორები

სალექტორო ბიურო იწვევს მსურველთ მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, 10—12 საათამდის. მისამართი: ყოფილი სადგილ-მამულო ბანკის შენობა, ლორის-მელიქოვის ქ. ტელეფ. 1—70.

კურსები

იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილებასთან არსდება რესპუბლიკის გამასწორებელ სახლების საადმინისტრაციო თანამდებობათათვის კანდიდატების მოსამზადებლად სამ კვირიანი კურსები 12 მაისიდან.

ლექციები გაიმართება საღამოობით სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ქუჩა № 32). მსურველთა ჩაწერა კურსებზე შეიძლება ყოველ დღე დასჯა-გასწორების განყოფილებაში დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საორგანიზაციო კომისიისაგან

„წერა-კითხვის უცოდინარ მუშა-გლეხის დღის“ მომწყობ ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრება შესდგება ა/წ. ორშაბათს, 9 მაისს, საღამოს 6 საათზე ადგილობრივ დროით, ს. ს. ს. რ. მთავირ საპოლიტიკო საგანმანათლებლო განყოფილების შენობაში (ლორის მელიქოვის და გრაფის ქ. კუთხეში, ყოფ. ქართულ სათავად აზნაურო ბანკის შენობა).

სავალდებულოა დასწრება შემდეგ ორგანიზაციების წარმომადგენელთა:

1) საქ. კომპარტიის ც.-კომიტეტის,
2) თბილისის კომიტეტის,
3) მე-11-ე არმიის პოლიტიკურ განყოფ.,
4) პროფკავშირების საბჭოსი,
5) ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის,
6) ხელოვნების მუშაკთა,
7) მასწავლებელთა კავშირის,
8) საბჭოთა საქ. დეპეშათა სააგენტოსი,
9) რედაქციები: „პრავდა გრუზიის“, „კომუნისტის“, „წითელი მხედრის“ და „წითელ ვარსკვლავის“.

ს. ს. დეპეშათა სააგენტოს, ხელოვნების მუშაკთა და მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენლებს ევალებათ, წარუდგინონ კრებას გამომუშავებული გეგმები.

საორგანიზაციო კომისია.

ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში“ დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება.

კომ. ახალგაზრდობის ფურცელი № 8

თათბირის მუშაობა

საქ. კომ. ახალგ. კავშირის პასუხისმგებელ ამხანაგების თათბირი დასრულდა 22 აპრილს. მან სამი-ოთხი დღის განმავლობაში იმუშავა და მიიღო ფრიად საჭირო და დროის შესაფერისი გადაწყვეტილებები. ყველა კითხვები, რომელნიც დასმული იყვნენ დღის წესრიგში, დინჯათ და გულდასმით ირჩეოდა. ყველაზე უფრო ცხარე კამათი გაიმართა ც. კ. მოხსენების ირგვლივ. აქ საჭიროც იყო ყველა ორატორების აზრის მოსმენა, რომ აღენიშნათ ის ნაკლი, რომელიც ახასიათებდა ყოფილ ცეკას, რათა ეს ნაკლი მომავალში არ განემეორებინა ახალ ცეკას. აღმოჩდა, რომ ცეკა უძლური იყო მიმდინარე კითხვების გადაწყვეტაში და ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა მასსების ხელმძღვანელობაში. იმან სრული უმწეობა გამოიჩინა პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობაში და საერთოდ კავშირის იდეურ ხელმძღვანელობაში. ცეკამ ვერ შესძლო „ფურცლის" გამოშვებაც, მას არ გამოუცია არც ერთი მოწოდება. ძლიერ მოწყვეტილი იყო ის აგრეთვე მუშათა და გლეხთა მასსებს. არც სხვა დარგებში გამოუჩენია თავისი უნარი ცეკას, რაც აღიარა მომხსენებელმა. პლენუმმა გადასწყვიტა გადააყენოს ცეკა და აირჩიოს ახალი დროებითი ც. კ., რომელმაც უნდა გამოასწოროს ძველის ნაკლი და მოიწვიოს ამ ახლო ხანში სიეზდი სრულიად საქ. ახალგ. კომ. კავშირისა. შემდეგ საინტერესო კამათი გაიმართა კავშირის ამოცანებზე საბჭ. რესპუბლიკაში და ორგანიზაციულ აღმშენებლობაზე. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნულია, რომ თვითმოქმედება — საფუძველია ჩვენი კავშირის არსებობის, რომ თვით გლეხთა და მუშათა მასსებმა უნდა ჩაებას ჩვენს მუშაობაში. ჩვენი კავშირი უნდა აგებულ იყოს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე. დანიშვნითი წესი უნდა შეიცვალოს არჩევითი წესით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დისციპლინა დაირღვეს და უფროს ორგანოს არ დაემორჩილოს უმცროსი ორგანო. პირიქით ამით დისციპლინა უფრო უნდა გამტკიცდეს. საინტერესო კითხვა იყო პოლიტ. განმანათლებელი მუშაობა, რომელზედაც შესაფერი რეზოლიუცია იქმნა გამოტანილი და დავალა ახალ ც. კ. ამ მხრივ მუშაობას მიაქციოს დიდი ყურადღება. ერთი სიტყვით, ყველა ის კითხვები, რომლებიც იდგენ ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე, პლენუმმა განიხილა და პასუხი მისცა. ეჭვი არ არის ეს ჩვენი მუშაობა უნაკლო არ იქნება, მაგრამ ეს გასაგებია, რადგან მუშაობა სწრაფათ მიმდინარეობდა და მოუმზადებელი იყვენ ამხანაგები. არჩეულ იქნა ახალი ც. კ. უფრო მოქმედი, უფრო ენერგიული, უფრო საქმიანი, რომელმაც შეუდგა უკვე მუშაობას. ჩვენს მუშაობას მიეცა ერთნაირი მიმართულება. ამ მხრივ ამ პლენუმმა უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე სხვა უწინდელ თათბირებმა და სიეზდებმა. პროვინციელი ამხანაგები დაბრუნდებიან თავიანთ ადგილებზე და გააჩაღებენ ენერგიულ მუშაობას. ჩვენი კავშირი გასწმენდს ორგანიზაციებს კარიერისტულ ელემენტებისაგან და აანაზღაურებს იმ მუშაობასაც, რომელიც არ უწარმოებია ძველ ცეკას.

მაშ წინ, მედგრათ, ახალგაზრდა ამხანაგებო! მომავალი სიეზდი გვიჩვენებს თუ რამდენს გავაკეთებთ ჩვენ კავშირის გაძლიერების საქმეში.

თავიანთ ადგილებზე ყველამ. თავდადებული, გაბედული, მტკიცე მუშაობა — აი ჩვენი მოწოდება, აი თათბირის მოწოდება.

მოვალეობა არ დავივიწყოთ!

საქართველოში, ახალგაზრდობათა კომ. კავშირის წევრები და მათი თანამოაზრენი, სასტიკათ დევნილნი იყვნენ მენშევიკების ბატონობის დროს. მათ არ ჰქონდათ საშვალება, რომ თავისუფლათ შეკრებილიყვნენ და ებაასათ თავიანთ საჭირბოროტო საკითხებზე. არამც თუ ჩვენი კავშირის წევრებს, არამედ არც ერთ ქალაქისა და სოფლის უღარიბეს მუშა ახალგაზრდობას არ შეეძლოთ პირდაპირ დაესვათ საკითხი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. თუ ასეთ გაბედულებას გამოიჩენდა ვინმე, მისი გზა იყო მეტეხის ციხისაკენ. ასეთ მდგომარეობაში უხდებოდა ნამდვილ მშრომელთ ცხოვრება მენშევიკების მიერ წოდებულ „თავისუფლების სამოთხეში", სამი წლის განმავლობაში. მაგრამ დღეს მდგომარეობა შეიცვალა და მათი ყალბი ინფორმაციები არხივს ჩაბარდა. მშრომელ ახალგაზრდობას ეღირსა მზის სინათლეზე გამოსვლა და თავისუფლათ ამოსუნთქვა. ამ დრომდი არ გვქონდა ჩვენ საშვალება მიგვეღო თეორეტიული ან პრაქტიკული მომზადება, რადგან ერთი რამ ტრიალებდა მშრომელთა აზროვნებაში. ის, რომ როგორმე მოგვეშორებინა თავიდან ბურჟუაზიის ბატონობა.

დღეს კი ეს ფიქრები განიდევნა მშრომელთა აზროვნებიდან და ცხოვრებამ სულ სხვა ახალი უფრო საინტერესო საკითხები და ამოცანები დაგვიყენა.

ჩვენც ამ ამოცანების ჯეროვან წყეტისაკენ უნდა მივმართოთ ჩვენი ენერგია და სათანადო პასუხი გავცეთ თვითეულ მათგანს.

როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მაშინათვე ქალაქისა და სოფლის მშრომელი ახალგაზრდობა ფეხზე დადგნენ და ამაოთ მოელოდენ მოწინავე ამხანაგებისაგან დაიიგებიბს.

მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ამ ორი თვის განმავლობაში ვერ შევძელით ყველაფრის მოწესრიგება და დღემდის ადგილობრივი ძალების ამარა იყო მიტოვებული ჩვენი ორგანიზაციები უინსტრუქციოთ.

დღეს კი, როდესაც უკვე ცოტათ თუ ბევრათ ჩამოყალიბდა სახელმწიფო აპარატი, შეკეთდა გზები, ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზები, ჩვენც მოვიწვიეთ საქ. ახალგაზრდათა კავშირის პლენუმი, რომელზედაც დაესწრენ წარმომადგენლები ყველა მაზრებ დან.

ამ თათბირზე შემუშავდა ფართო გეგმები ჩვენი მომავალი მუშაობისა, რომელსაც სათანადოთ გაეცნო თვითეული დამსწრე ამხანაგი.

თათბირი დამთავრდა 22 აპრილს და ამხანაგები დაუბრუნდენ მაზრებს მუშაობის გამოსაცხოველებლად.

თვითეულ მათგანს კარგათ ესმით თავიანთი მოვალეობა, მაგრამ კიდევ მოვაგონებთ, რომ ის ლამაზი სიტყვები, რომლებიც წარმოითქვა თათბირზე ზოგიერთების მიერ, არ უნდა დარჩეს სიტყვათ, არამედ გატარებულ იქნას თვით ცხოვრებაში.

ქალაქისა და სოფლის მშრომელი ახალგაზრდობა სულიერათ ყოველთვის ჩვენთან იყო. მათ უნდა უხელმძღვანელოთ და ნათლათ დავანახოთ თავიანთი კლასობრივი ინტერესები, შემოვკრიბოთ ისინი ერთი დროშის ქვეშ, რომელშიაც მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი ხედავს თავის გამოსავალს.

ყველა ის დებულებები, რომლებიც მიღებულ იქნა პლენუმზე, დამაკმაყოფილებელია მშრომელი ახალგაზრდობისათვის, მხოლოთ მისი ცხოვრებაში გატარება ევალება მაზრებისა და რაიონების მუშაკებს. ჩვენც ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ თვითეული მათგანი შეუდგება უყოყმანოთ თავიანთ თავზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას და მით სასურველ შედეგებს მოუტანს ჩვენს კავშირს.

მაშ ერთხელ კიდევ მოგაგონებთ, რომ მოვალეობა არ დაივიწყოთ და ის სინდისიერათ შეასრულოთ.

გ. ხაჭიძე.

პირველი ნაბიჯი

ახლათ არჩეული ცეკა უკვე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. იმან გამოჰყო კულტურულ და პოლიტიკურ-განმანათლებელი კომისია, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს ამ დარგში მუშაობას, პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობას უნდა მიექცეს დღის მთავარი ყურადღება, ეს უნდა იქნეს ჩვენი საზრუნავი საგანი, ეს იცის პოლიტ-განმანათლებელ კოლეგიამაც. ამიტომ ის უმუშავებს სხვა და სხვა ინსტრუქციებს. უპირველეს ყოვლისა მან საჭიროთ სცნო ამ ახლო ხანში, შორს არა უგვიანეს 12 მაისისა, გახსნას სამკვირეული კურსები ჩვენი კავშირის წევრებისათვის.

ამ კურსებზე უნდა გამოგზავნოს ყოველმა მაზრამ ორ-ორი ამხანაგი, არა სამაზრო კომიტეტის წევრი, გლეხთა და მუშათა მასსიდან, რომელთაც ექნებათ უნარი შეითვისონ ჩვენი კავშირის და პარტიის პროგრამა, მისი პრაქტიკა და დახელოვნდეს ორგანიზაციულ მუშაობაში. ეს გადაწყვეტილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მაზრებში ძლიერ ცოტა გვყავს პასუხისმგებელი მომუშავენი და ბევრი მათგანიც, რომლებიც დღეს მუშაობენ, მოუმზადებელნი არიან. კურსებზე 60 მდი ამხანაგი მოიყრის თავს და 1 თვის სისათვის ჩვენ გვეყოლება 60 ცოტა თუ ბევრათ მომზადებული ახალგაზრდა, რომლებშიაც იქნება მხურვალე სურვილი ბრძოლისა და ორგანიზაციული მუშაობისა, რომლებშიაც იქნება მტკიცე რწმენა და გადაწყვეტილება დარაზმონ მთელი საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა კავშირის დროშის ქვეშ. ამ დადგენილების განხორციელება მეტად საჭიროა, კიდევ მეტი, ის აუცილებელია.

სამაზრო და ქალაქის კომიტეტებმაც შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციონ ამას და კურსებზე გამოსაგზავნათ ამოირჩიონ ისეთი ამხანაგები, რომლებიც გამოსადეგი იქნებიან ჩვენი მუშაობისათვის, ამას მოითხოვს საქმის ინტერესი, ამას მოითხოვს კავშირის გაძლიერების ინტერესი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველა ამხანაგები ამ საქმის სერიოზულათ მოეკიდებიან, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კომუნისტური პარტიაც შესაფერ დახმარებას გაგვიწევს ამ სიმპატიურ განზრახვის ცხოვრებაში გასატარებლათ. ამ მხრივ მუშაობს ჩვენი ცეკა, ამეთკენ მიმართა მან თავისი ყურადღება უპირველეს ყოვლისა. ჩვენ ვესალმებით მის ამ პირველ ნაბიჯს და გამოვსთქვამთ იმედს, რომ ყველა ამხანაგების დახმარებით ჩვენ ამ საქმეს მოვაგვარებთ.

სპარტაკი.

ქ. ТБИЛИСИ.

ახალგაზრდათა მიტინგი 1 მაისს

იშვიათი დღე იყო 1 მაისი თბილისის ახალგაზრდობის ცხოვრებაში, ამ დღეს მშრომელ ხალხთან ერთად ქუჩებში გამოეფინა თბილისის მრავალ რიცხოვანი ახალგაზრდობა. ყველას სახეზე მხიარულება და აღფრთოვანება ეტყობოდა. პროცესია განუწყვეტლივ მოძრაობდა შოთა რუსთაველის პროსპექტზე, იქ მონაწილეობს იღებდა თბილისის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის რაზმი. აღსანიშნავია ის, რომ სულ ცოტა ხანში კომ. კავშირის თბილისის ორგანიზაციამ, საუკეთესოთ გაწვრთნა და შეაიარაღა მშრომელი ახალგაზრდობა; მათი მწყობრი შეკავშირებული მტკიცე რიგები მხოლოთ იმას ამბობდა რომ მშრომელი ხალხის ძალაუფლება შეურყეველია, რომ მშრომელი ახალგაზრდობა რევოლიუციის მოწინავე რიგებში დგას და ნებას არავის მისცემს რომ შეურაცყოს ვინმემ წმ დათა წმიდა—საბჭოთა ხელისუფლება. თბილისის კომ. კავშირის რაზმი არის მაგალითი, მთელი საქართველოს ახალგაზრდობისთვის. კომუნისტური კავშირის თბ. ორგანიზაციის წევრებმა—დეპოს ახალგაზრდა მუშებმა—უძღვნეს საქართველოს მუშებს და გლეხებს, საუცხოვო, საგანგებოთ გაკეთებული ავტომობილი, რომელსაც ამშვენებდა წითელი წარწერა, „საქართველოს ტრანსპორტს—კომუნისტური კავშირის წევრებისაგან, დეპოს ახალგაზრდა მუშებისაგან". ეს პატარა საჩუქარია მაგრამ ერთხელ კიდევ ამტკიცებს რომ, საქართველოს შეგნებული ახალგაზრდობა მზათ არის მთელი თავისი ენერგით, შრომით, განამტკიცოს საქართველოში მშრომელთა ხელისუფლება: პროცესია თავდება 1 საათზე, რომლის შემდეგ მრავალ ალაგას იმართება, მიტინგები. აღსანიშნავია ახალგაზრდათა მიტინგი, რომელიც თბილისის კომიტეტის სადგომის წინ გაიმართა და რომელსაც აუარებელი ახალგაზრდობა მოაწყდა. მიტინგის გახსნას მოუთმენლათ ელოდენ კომ. კავშირის თბილისის ორგანიზაციის სახელით მიტინგს ხსნის ამხ. ს. კალანტაროვი. პირველათ ლაპარაკობს კომ. კავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხ. ბ. ძნელაძე, რომელიც ამბობს რომ, დღეს მთელ ქვეყანაზე მშრომელი ახალგაზრდობა მშრომელ ხალხთან ერთად გამოვა ქუჩებში, რომ იბრძოლებენ სიმართლისთვის, მშრომელი ხალხის ინტერესებისთვის. იქ სადაც ჯერ ბურჟუაზიული ძალა უფლებს სუფევს, მშრომელი ხალხი დღეს რისხვათ მოევლინება თავის მტრებს. შეგნებული ახალგაზრდობა იყო და მუდამ იქნება რევოლიუციის მოწინავე რიგებში. შემდეგ ის აღნიშნავს ჩვენი კავშირის წარსულ მომენტებს თუ როგორ იბრძოდა საქართველოს რევოლიუციონური ახალგაზრდობა, მოღალატე მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, თუ როგორ სდევნიდნენ, აწუსადებდენ, ხვრეტდენ, მენშევიკური ჟანდარმები ჩვენ ამხანაგებს. მენშევიკები საქვეყნოთ გაიძახოდენ დაიცავით სამშობლოო. ჩვენ კი მაშინ ვამბობდით, რომ საქართველოს მშრომელ ხალხს ჯერ სამშობლო არ აქვს, რომ ის მან უნდა მოიპოვოს ითქო. ამ სამშობლოს მოსაპოებლათ ვიბრძოდით ჩვენ და მივაღწიეთ კიდევაც მიზანს.

ეხლა იმება ჩვენს წინაშე მეორე ამოცანა. ეს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ მხრივ ხელი შევუწყოთ საქართველოში საბჭოთა წესწყობილების განმტკიცებას ორატორი ათავებს თავის მხურვალე მოწოდებას შემდეგი სიტყვებით: გაუმარჯოს 1 მაისს! გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მთავრობას! გაუმარჯოს საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს! ორატორის უკანასკნელი სიტყვები იფარება ტაშის გრიალით. შემდეგ ლაპარაკობს ამხ. **დევდარიანი** (ახალგაზრდა მუშა ც. კ. წევრი). აღნიშნავს თუ რა მძიმე მდგომარეობაში სცხოვრობდა საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა, მენშევიკების ბატონობის დროს. ის მოუწოდებს მიტინგს დაეხმარონ ყოველმხრივ საბჭოთა მთავრობას, რომელიც მიზნათ ისახავს, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას საერთოდ და კერძოთ ახალგაზრდა მუშების. მის შემდეგ ლაპარაკობს კავშიროს სახელით ამხ **სტაროსტინი**. 70 წელიწადზე მეტია მას შემდეგ—ამბობს ორატორი, რაც დასავლეთის ახალგაზრდობა, რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ერთად იბრძვის მუშა ხალხის ინტერესების განსახორციელებლათ. რუსეთში დაწყებულ რევოლიუციიდანვე, შეგნებული მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა მიდიოდა და მიდის პროლეტარიატის ავანგარდთან კომუნისტურ პარტიასთან ერთად. რევოლიუციის მძიმე ხანებში ახალგ. კომუნისტური კავშირი იძლეოდა და იძლევა საუკეთესო ძალას რევოლიუციის ფრონტებზე. მთელი ქვეყნის შეგნებული ახალგაზრდობა გაერთიანდა ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში. პროლეტარიატის მომავალი უზრუნველყოფილია. გაუმარჯოს კომუნისტურ კავშირს! გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს! დაათავა სიტყვა ორატორმა.

ამხ. კ. ორაგველიძე (ც. კ. წევრი). აღნიშნავს პირველი მაისის მნიშვნელობას, თუ რა ლოზუნგებს აყენებს ამ დღეს მუშათა კლასი ყველა ქვეყნებში. შემდეგ ის ეხება მე 2 ინტერნაციონალის მოღვაწეობას და ამბობს, რომ იმან უღალატა მუშათა კლასს და მიივიწყა 1 მაისის ლოზუნგები: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! ძირს იმპერიალისტური ომი! და სხვა. მან მოისურვა მუშა კლასის კაპიტალის ურემზე ჩამობმა, მისი კლასიური შეგნების ბურუსში გახვევა. ეს ღალატი დროზე გაუგო მე 2 ინტერნაციონალის ბელადებს, მშრომელმა ხალხმა და მან იწყო შეკავშირება მე-3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. ეს გაიგო დროზე მშრომელმა ახალგაზრდობამაც და წინააღმდეგ სოციალ-გამცემლების გვერდში ამოუდგა მე-3 ინტერნაციონალს. მთელი ქვეყნის ახალგაზრდა მუშები და გლეხები დღეს გაერთიანებული არიან ერთ ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალში, რომელიც ხელმძღვანელობს მათ ბრძოლას მსოფლიოს მასშტაბში; გაუმარჯოს 1 მაისს, მუშათა დღესასწაულს, მუშათა ბრძოლის დღეს! გაუმარჯოს ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომელიც ხელი ხელ ჩაკიდებული იბრძვის მე-3-ე ინტერნაციონალთან ერთად! გაუმარჯოს საქარ. ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს! თბილისის ორგანიზაციის სახელით ლაპარაკობს ამხ. იაშა, რომელიც ამბობს, რომ დღეს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის პროტესტს ვუერთებთ ჩვენ ხმას ბურჟუაზიული მოძალადეების წინააღმდეგ. თუ უწინ ჩვენ გვდევნიდენ, გვაწამებდენ, ეხლა ჩვენ თავისუფლი ვართ და კომუნისტურ აღმშენებლობაში უფრო მეტის ენერგიით მივიღებთ მონაწილეობას. სოხუმის კომუნისტურ კავშირის სახელით ლაპარაკობს ამხ. არშაკუნი, შემდეგ აფხაზეთის კომკავშირის სახელით ამხ. ვეიხმანი. ბოლოს ლაპარაკობს კრების თავმჯდომარე ამხ. კალანტაროვი (ც. კ. წევრი), რომელიც ამბობს, რომ 1 მაისი ერთ და იმავე დროს არის პროტესტი და დღესასწაული; პროტესტი ბურჟუაზიულ წესწყობილების წინააღმდეგ და დღესასწაული შრომის განთავისუფლებისა საბჭოთა რესპუბლიკებში. რამდენიც დრო გადის, იმდენი დღესასწაულის ელემენტი იჭერს პროტესტის ადგილს, რადგან საბჭოთა წყობილება დღითი-დღე იზრდება. გაუმარჯოს 1 მაისს, როდესაც მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი იდღესასწაულებს თავის გამარჯვებას და თავისუფალ შრომას. დასასრულ ამხ. კალანტაროვი უსურვებს მიტინგს ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა წყობილების და კომუნისტური აღმშენებლობის საკეთილდღეოთ. მიტინგი დახურულათ ცხადდება და თბილისის ახალგაზრდობა ინტერნაციონალის სიმღერით იშლება ღრმად დარწმუნებული თავის გამარჯვებაში.

შ. ღ ძე.

პროვინციელი კორესპონდენტების საყურადღებოთ

ამხანაგებო! დღეს ჩვენ „ფურცელში" იბეჭდება ცირკულიარი ც. კ. პასუხისმგებელ კორესპონდენტთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ამას ყველა ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს და ამოირჩიოს ისეთი კორესპონდენტები. მათი მოვალეობაა ჩვენი ორგანოები უზრუნველყონ ყოველნაირი ცნობებით ჩვენი ორგანიზაციების ცხოვრების შესახებ. მიუხედავათ ამისა პროვინციელი ამხანაგები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ასეთი ცნობების მოწოდებას. უამისოთ კი შეუძლებელია ჩვენი გამომცემლობის შესაფერ სიმაღლეზე დაყენება.

ამხანაგებო! თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენი ორგანოები უნდა იყოს სარკე ახალგაზრ. მუშათა და გლეხთა ცხოვრებისა, ამიტომ ნუ დააყოვნებთ და ეხლავე მოაწყვეთ ეს საქმე. გვაცნობეთ, ვინ არის ამორჩეული პასუხისმგებელ კორესპონდენტებათ, რომელნიც თუ თავის მოვალეობას პირნათლათ არ შეასრულებენ პასუხსაგებენ ც. კ. წინაშე. კორესპონდენციები და ყოველნაირი წერილები უნდა იყოს დაწერილი გარკვევით, ცალ გვერდზე და წმინდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობა წარმატებით ვერ წავა. ამიტომ ასეთ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ განიხილავს.

„ფურცლის" რედაქცია.

ყველა ორგანიზაციებს

საქ. ახალგაზრდათა კომუნ. კავშირისა ახალგაზრდათა პრესის კორესპონდენტების შესახებ.

რომ ახლო კავშირი იქნას კავშირი საქ. ახალგ. კომ. კომუნ. კავშირის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის, არსდება ინსტიტუტი პასუხისმგებელ კორესპონდენტებისა ახალგაზრდათა ბეჭდვითი ორგანოებისა.

პასუხის მგებელი კორესპონდენტები გამოიყოფებიან ყოველ საოლქო და სამაზრო კომიტეტები აგან, კომიტეტების წევრთა რიცხვის მიხედვით.

მოვალეობა პასუხის მგებელ კორესპონდენტისა მდგომარეობს იმაში, რომ რეგულიარულათ მიაწოდოს ც. კ. ორგანოს ცნობები ადგილობრივ ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ.

აგრეთვე პას. მგებელი კორესპონდენტი ვალდებულია კვირაში ერთხელ გამოგზავნოს ცენტრალურ ორგანოში მოსათავსებლათ მასალები.

პას. მგ. კორესპონდენტები ვალდებულია აგრეთვე სწერონ სტატიები და შენიშვნები ახალგაზრდათა ფურცელში მოსათავსებლათ.

ც. კ. მოუწოდებს ყველა კომიტეტებს ადგილობრივ ორგანიზაციებისა დაუყოვნებლივ გამოყონ პას. მგ. კორესპოდენტები და ეს აცნობოს ც. კ—ს.

ც. კ. ამასთან ერთად ავალებს ყველა წევრებს საქ. ახალგ. კომ. კავშირისა და პირველ რიგში კი პასუხის მგებელ მუშაკებს, სწერს სტატიები, შენიშვნები და აგრეთვე გამოგზავნონ სხვა და სხვა სახის მასალები ცენტრალურ ორგანოებისათვის: ჟურნალის, გაზეთის ახალგაზრდათა „ფურცლებისა" და ც. კ. სხვა ბეჭდვითი ორგანოებისათვის.

მდივანი ც. კ. ბ. ძნელაძე

ჩვენს კავშირში

ქ. თბილისი. მე-4 რაიონის ქვერაიონში.

მე-4 რაიონის ქვე-რაიონში შედის: ვერა, ვაკე და საბურთალო. ამ რაიონში თვალსაჩინო ქარხნები არის მაგ., ენფიაჯიანცის „ასანთი", სადაც მუშათა შორის უმრავლესობა ახალგაზრდებია. ეს რაიონი ძალზე ერთ დროს ბურჟუაზიის შუაგულად მენშევიკებისას. ვერის მშრომელი ახალგაზრდობა იქნება მოტყუებული და ჩათრეული მენშევიკური გავლენაში. ამ გარემოების სათანადოდ ყურადღება მიაქცია ვერის რაიკომმა და ენერგიულათ შეუდგა მუშაობას ვერის ახალგაზრდობათა შორის, მენშევიკების მიერ მოშხამული ჰაერის გაწმენდას და ახალგაზრდების გამოფხიზლებას. აღსანიშნავია დაუღალავი შრომა ამხ. ორბელის, რომელიც ენთუზიაზმით თითქმის ყოველ-კვირას ხვდება გამოდის ახალგაზრდობის კრებებში, სადაც არჩევა სხვა და სხ. საკითხები, თუ რათ მოვიდა წითელი არმია საქართველოში, რა არის კომუნისტური მოძრაობა, კომუნისტური კავშირი და სხვ.

ახალგაზრდობა ასეთს კრებებს და საუბრებს დიდი კმაყოფილებით ესწრება და ერკვევა მენშევიკურ ბურჟუაზიულ. ამასთანავე ხდება წევრების სისტემატიურათ სამხედრო ვარჯიშობა, რომლის მნიშვნელობა ახალგაზრდობისათვის და კერძოთ კომკავშირის წევრებისათვის დიდია, რადგან ჯერ კიდევ მთელ ქვეყნებზე მშრომელი ხალხი არაა გამარჯვებული. ეს უნდა ახსოვდეს ამხანაგებს, როდესაც საუბრობენ სამხედრო ვარჯიშობის შესახებ. მთელ ქვერაიონში ჩაწერილია ასზე მეტი წევრი, რომელთა შორის 80 პროც. მუშებია, დანარჩენი მოწაფეები. უნდა ითქვას, რომ ეს ქვე-რაიონი მეტათ დიდია და ამიტომ საჭიროა და მის ქვე რაიონათ საბურთალოს ახალგაზრდობაში, სადაც საკმაოდ მშრომელი ახალგაზრდობა. ზემოხსენებულ რაიონში მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, საჭიროა უფრო გაძლიერებული მუშაობა, რომ ამით შევაკავშიროთ და დავრაზმოთ ჩვენი დროშის ქვეშ მთელი ახალგაზრდობა.

შ. ღ—ძე.

ჩვენი ფოსტა

გურიის ამხ. ნაცვლ. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები და წერილები ორგანიზაციების ცხოვრებიდან.

ქუთაისი. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები.

ამხ. ბედინაშვილს. არ დაიბეჭდება. გამოგზავნეთ სხვა.

ამხ. ხაჭიძეს ხშირათ მოგვაწოდეთ წერილები.

განცხადებანი

დახაბეჭდათ არის გამოსაცემად:

1) პროგრამა რ. ა. კ. კ.
2) წესდება რ. ა. კ. კ.
3) ახალგ. კავშირების ამოცანები — ლენინისა.

მზადდება დასაბეჭდათ

1. ახალგ. ინტერნაციონალი და მისი ამოცანები—ზინოვიევის.
2. ისტორია რ. ა. კ. კ.
3. დეპუტატ პარლამენტების მიტინგების შესახებ.